www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი 2 მარტი, 2009 წელი. №45 (2083) | ფასი 50 თეთრი

პრეს-ომბუდსმენი
A3



ევროკავშირის
საგანგებო სამიტი
A7



სირაქლემა, როგორც
შეწყვეტილი
სიცოცხლის სიმბოლო
A11



# უკან მომავალში?

## ომის დაბრუნება საერთაშორისო პოლიტიკაში

დავით აფრასიძე

ამავე სახელწოდების ამერიკულ კინოტრილოგიაში ახალგაზრდა მარტი და პროფესორი ბრაუნი დროის მანქანას შექმნიან და დროში მოგზაურობენ. ამერიკული ფენტეზის გმირები ხან წარსულსა და ხანაც მომავალს ეწვევიან და არაერთ სათავგადასავლო ისტორიაშიც გაეხვევიან. წარსულში, აწმყოსა და მომავალში იცვლება ადამიანის მატერიალური გარემო, მაგრამ არა ადამიანის ბუნება. ამის მიუხედავად, ამერიკული ტრადიციის თანახმად, ყოველთვის ყველაფერი ბედნიერად სრულდება.

1990 წელს, ამერიკელმა პროფესორმა ჯონ მერშაიმერმა გამოაქვეყნა სტატია "უკან მომავალში", სადაც იგი ამტკიცებდა, რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ საერთაშორისო პოლიტიკაში დაპირისპირების ახალი ეპოქა დაიწყებოდა. უფრო სწორად, მომავალში მსოფლიოს ელოდა კარგად ნაცნობი წარსული - წამყვანი სახელმწიფოების კონკურენცია, სადაც კონფლიქტი და ომები ჩვეულებრივი მოვლენაა, ხოლო მშვიდობა - სასურველი, მაგრამ - არა ყოველთვის შესაძლებელი. მერშაიმერის მტკიცებით, ცივი ომის დასრულების შემდეგ ფუნქციას დაკარგავდა და დაიშლებოდა ნატო, ხოლო ევროპის რეგიონული სისტემა ისევ ევროპის კონცერტის სახეს მიიღებდა, სადაც განახლდებოდა კონკურენცია გერმანიას, საფრანგეთს, დიდ ბრიტანეთსა და რუსეთს შორის. მერშაიმერს მხოლოდ კრიტიკა არ აკმარეს. ერთ წელიწადში საბჭოთა კავშირიც დაიშალა და ამერიკელი პროფესორი, კრიტიკის გარდა, დაცინვის ობიექტიც გახდა. მიუხედავად ამისა, იგი თავისას არ იშლიდა და მოგვიანებით არაერთ სტატიასა და მონოგრაფიაში გაიმეორა იგივე მოსაზრება.

გაგრძელება A4 გვერდზე



*უინსტონ ჩერჩილი, რომელიც გერმანიის წინააღმდეგ პრევენციულ ომს უჭერდა მხარს, პოლიტიკურ იზოლაციაში აღმოჩნდა.*

# გამარჯვების გემო

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა გამარჯვების გემო მადრიდში გაიხსენა, სადაც პორტუგალიაზე გულმოსულმა "ბორჯღალოსნებმა" ესპანელები გაანადგურეს - 55:11. ეს ანგარიში სარეკორდოა ამ გუნდების შეხვედრების ისტორიაში და იმის გათვალისწინებით, რომ ესპანეთმა ბოლო წლებში გვარიანად გვაწვალა, ამ ანგარიშს ალბათ არავინ მოელოდა. ტიმ ლეინის გუნდმა 8 ლელო გაიტანა, ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია მეორე - ქართველთა სწრაფი კომბინაციის შედეგი, რომელიც კაჭარავას ზუსტი პასის შემდეგ მამუკა გორგოძემ დააგვირგვინა.

გაგრძელება A13 გვერდზე



ელენე ჟღენტის ფოტო

*მამუკა გორგოძემ ესპანელებს ორი ლელო გაუტანა.*

24 საათი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ურთიერთობას

GRDC group

ჯი პი ეს
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

24 საათი | The New York Times — Articles selected for 24 საათი | Weekend

## 1 მარტიდან

საცალო ვაჭრობაში "24 საათის" სამშაბათის ნომერი ნიუ იორკ თაიმსთან ერთად ეღირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ეღირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის 24 საათის ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება.

მარტიდან შესაძლებელი იქნება 24 საათისგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც.

ასეთ შემთხვევაში ხელმოწერის ფასები შესაბამისად იქნება:

1 წლით ———————— 52 ლარი;
6 თვით ———————— 26 ლარი;
3 თვით ———————— 13 ლარი;
1 თვით ———————— 4 ლარი.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალეკო ლომიძე;
8 (99) 62 02 20 ვანო ამირანაშვილი.

### შენდობის დღე

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მრევლს დიდმარხვის დაწყებაზე კურთხევა მისცა. ტრადიციულ საკვირაო ქადაგებისას უწმინდესმა მრევლს ბედნიერი აღდგომის დადგომა და საქართველოს გამთლიანება უსურვა.

წმ. ეფრემ ასური ამბობს - უფალო მომანიჭე მე განცდა ცოდვათა ჩემთა და არა განკითხვა ძმისა ჩემისა. ეს არის ის გზა, რომელიც მიგვიყვანს ჩვენ სასუფეველში. ღმერთმა მშვიდობიანი აღდგომა დაგვიყენოს, ღმერთმა ინებოს, რომ კვლავ ვიხილოთ გამთლიანებული საქართველო. ღმერთს ყველაფერი შეუძლია. ითხოვდეთ და მოგეცეთ თქვენ, ეძიეთ და ჰპოვოთ თქვენ, ამბობს უფალი , - განაცხადა ქადაგებისას პატრიარქმა.

უწმინდესმა წმ. სამების ტაძარში ქადაგებისას მიტევების დღეზეც ისაუბრა: მართლმადიდებელმა ეკლესიამ გუშინ შენდობის დღე ანუ მიტევების კვირა აღნიშნა. დიდმარხვის დაწყების წინ მორწმუნეებმა ერთმანეთს შენდობა სთხოვეს.

შენდობის წესი წმ. სამების საპატრიარქო ტაძარში უწმინდესმა და უნეტარესმა გუშინ საღამოს, 18:00 საათზე შეასრულა, რომლის დროსაც პატრიარქმა თავად ითხოვა შენდობა.

**ინტერპრესნიუსი**

### სტუმრად ქუთაისში

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური გუშინ ქუთაისში ჩავიდა. პრემიერ-მინისტრმა ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში ნაპირსამაგრი სამუშაოების დაწყების შესახებ განცხადება გააკეთა.

საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით, მდინარე რიონზე ნაპირსამაგრი და დამცავი ჯებირების მშენებლობა იწყება. აღნიშნული სამუშაოების შედეგად მდინარის კალაპოტი შეიცვლება და დაცული იქნება როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ასევე, ქუთაისის ისტორიული ბოტანიკური ბაღი. ბოტანიკურ ბაღს მიწას მდინარე რიონი ბოლო ათი წელია ნელ-ნელა აცლის.

სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული ქართული კომპანია ერკერი განახორციელებს. აღნიშნულმა კომპანიამ გუშინ სიმბოლურად პირველი სამუშაოები დაიწყო.

ნიკა გილაური ქუთაისში გარემოს დაცვის მინისტრ გოგა ხაჩიძესთან ერთად იმყოფებოდა.

**ინტერპრესნიუსი**

### ირაკლი ბათიაშვილის მოწოდება

რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი ირაკლი ბათიაშვილი ოპოზიციას კონსულტაციისკენ მოუწოდებს და აცხადებს, რომ ამის გარეშე საერთო მიზანი, რომელიც ოპოზიციამ დაისახა მიხეილ სააკაშვილის გადადგომასთან დაკავშირებით, ადვილი მისაღწევი არ იქნება.

მიხეილ სააკაშვილს სირცხვილი არ შეაწუხებს და მოთხოვნის გამო არ გადადგება. სააკაშვილმა და მისმა გუნდმა იცის, რომ უკვე ყველა რესურსი ამოწურული აქვთ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, მაგრამ მაინც შეეცდება მაქსიმალურად გაიხანგრძლივოს პოლიტიკური არსებობა. ყველაფერი დანარჩენი დამოკიდებულია ოპოზიციის ფხაზე. იქიდან გამომდინარე, რომ არის ერთი სტრატეგიული წერტილი, რასაც ჰქვია სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნა, ოპოზიციამ უნდა გააერთიანოს თავისი ძალები. ასეთ შემთხვევაში, საზოგადოებაც კონსოლიდიერებული იქნება და მიზანიც მიღწევადი გახდება," - მიიჩნევს ირაკლი ბათიშვილმა.

**მედიანიუსი**

### მონარქისტების გეგმები

2 მარტს ისტორიული გვარების, თავად-აზნაურებისა და მათი თანამოაზრეების შთამომავალთა კავშირისა და საქართველოს მონარქისტული მოძრაობა `სამეფო გვირგვინის" მესამე ეროვნული ყრილობა გაიხსნება.

ყრილობაზე კონსტიტუციური მონარქიისადმი მოსახლეობის დამოკიდებულების გარკვევის მიზნით რეფერენდუმის ჩატარების საკითხს განიხილავენ. ამის შესახებ საქართველოს მონარქიული მოძრაობის ლიდერმა ია ბაგრატიონ-მუხრანელმა განაცხადა. მისივე თქმით, საქართველოში მონარქიის შემოღების საკითხი მხოლოდ ხალხმა უნდა გადაწყვიტოს. ია ბაგრატიონ-მუხრანელი მიიჩნევს, რომ მონარქია საქართველოს გაერთიანების საფუძველი შეიძლება გახდეს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

# მარიონეტების ბრალდებები ევროპას

დათო გამისონია

ოკუპირებულ აფხაზეთში საშტაბო წვრთნა მიმდინარეობს, ხოლო 3 მარტს ადმინისტრაციულ საზღვართან ფართომასშტაბიანი სწავლება დაწყება არის დაგეგმილი. გარდა ამისა, რუსმა ოკუპანტებმა გალის რაიონის სოფლებში მდებარე რუსული სამხედრო დანაყოფების ტერიტორიაზე შეიყვანეს დამატებითი ცოცხალი ძალა. ოკუპანტებმა განალაგეს, როგორც ტანკები, ასევე მედესანტეთა საბრძოლო მანქანები. საოკუპაციო ჯარების დისლოცირების ადგილზე უკვე შეტანილია დიდი რაოდენობით საბრძოლო მასალა და ტყვია-წამალი. სამხედრო ძალების მობილიზაცია შეიმჩნევა სოფლებში ფიჩორი, გაგიდა, ზემო ბარღები, საბერიო და ოტობაია, განსაკუთრებით დიდი რაოდეობის ცოცხალი ძალა კი სოფელ ჭუბურხინჯში შეიყვანეს. გარდა ამისა, ზუგდიდის რაიონთან დამაკავშირებელ ყველა გადასასვლელთან, სანგრებში განთავსებულია მძიმე ტექნიკა. თავის მხრივ, რუსეთის ფედერაციისა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის საზღვარზე - მდინარე ფსოუზე შეჩერებულია მოქალაქეთა გადაადგილება. ფაქტობრივად იზოლაციაში მოქცეულ აფხაზეთში, სოხუმისა და ოჩამჩირის სანაპიროებს დამატებით ორი რუსული სამხედრო გემი მიადგა. დაუზუსტებელი ინფორმაციით, რუსულმა ხომალდებმა აფხაზეთში ორი ეშელონი ტექნიკა შეიტანეს, 35 ერთეული ტ-72-სა ტიპის ტანკი და 30 ერთეულამდე ჯავშანტრანსპორტიორი.



სეპარატისტები სამხედრო წვრთნებისთვის ემზადებიან

AFP ' 2009

### შეხვედრები საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან

სამხედრო ძალების მობილიზების პარალელურად, სოხუმში მოლაპარაკებები გამართა გაერო-ს გენერალური მდივნის წარმომადგენელმა იოჰან ვერბეკემ. ის ესაუბრა აფხაზეთის მარიონეტული მთავრობის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბას. ამ უკანასკნელმა კიდევ ერთხელ დაადასტურა სეპარატისტების პოზიცია გაერო-ს მისიის სამართლებრივი სტატუსის შესახებ. გარდა ამისა, მათ დახურულ შეხვედრაზე ჟენევის მოლაპარაკებების შედეგები განიხილეს. **ბოლოდროინდელი მოვლენები გვაჩვენებს, რომ ევროპა არაობიექტურ პოლიტიკას ატარებს ჩვენს მიმართ. იმის გამო, რომ ჩვენთვის წინასწარ არის ცნობილი, თუ როგორი პოზიცია აქვს ევროკავშირის წევრ რამდენიმე ქვეყანას, ამიტომ მიგვაჩნია, რომ არ აქვს მნიშვნელობა მათთან მოლაპარაკებებს. აფხაზეთში ევროკავშირის მისიის არსებობა ჩვენ არაფერს გვაძლევს, რადგან აფხაზეთს შეუძლია თავისი ინტერესების დაცვა,** - განაცხადა შამბამ.

ევროკავშირის წევრი ქვეყნებისადმი უკმაყოფილების მიუხედავად, მარიონეტული ხელისუფლების წარმომადგენლები ამ დროისთვის დადებითად არიან განწყობილნი ევროგაერთიანების ეგიდით შექმნილ ფაქტების დამდგენ კომისიის თავმჯდომარის აფხაზეთში ვიზიტის მიმართ.

დღეს აგვისტოს ომის მიზეზებისა და შედეგების დამდგენი კომისიის თავმჯდომარე, შვეიცარიელი დიპლომატი ჰაიდი ტალიავინი ოკუპირებულ აფხაზეთს ეწვევა. ის შეხვდება სოხუმის მარიონეტული რეჟიმის ლიდერ სერგეი ბაგაფშს, ე.წ. ვიცე-პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას, ასევე მოლაპარაკებებს გამართავს ბაგაფშის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბასა და უშიშროების საბჭოს მდივან სტანისლავ ლაკობასთან. 3 მარტს ჰაიდი ტალიავინი აფხაზეთის ე. წ. თავდაცვის მინისტრის მოადგილე გარი კუპალბას და გაერო-ს მისიის წევრს შეხვდება. 4 მარტს კი, თბილისში წამოსვლამდე ჰაიდი ტალიავინი გალის რაიონს ესტუმრება.

### გატაცებული ქართველები ოსი სეპარატისტების ტყვეობაში რჩებიან

რუსეთის მიერ ოკუპირებულ ე.წ. სამხრეთ ოსეთში ბანდფორმირებების მიერ გატაცებული ორი ქართველი დავით კაპანაძე და დემურ ჭიღლაძე ამ დრომდე ტყვეობაში რჩებიან. შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის პოლიციის უფროს ვლადიმერ ჯუღელის თქმით, ისინი ცხინვალის ე.წ სამართალდამცველ ორგანოში ჰყავთ გადაყვანილი. ქართველი სამართალდამცველების არაერთი მცდელობის მიუხედავად, შეთანხმება მათი განთავისუფლების შესახებ მიღწეული არ არის.

27 თებერვალს, დაახლოებით, 16.30 საათზე, ოსური ბანდფორმირებების წევრებმა სოფელ კოდიდან გაიტაცეს ქარელის რაიონის სოფელ ჭვრინისის მიმართულებით მოძრავი ავტომანქანა და მასში მყოფი საქართველოს ოთხი მოქალაქე. მათგან ორი - ირაკლი კაპანაძე და დავით საძაგლიშვილი უპირობოდ გაათავისუფლეს. ხოლო დავით კაპანაძეს და დემურ ჭიღლაძეს წინასწარ პატიმრობას შეუფარდეს.

რუსულმა საინფორმაციო სააგენტო ინტერფაქსმა , ე.წ. ოს სამართალდამცველებზე დაყრდნობით, გაავრცელა ინფორმაცია, რომ დაკავებულებს საბრძოლო მოქმედებებში მონაწილების დამადასტურებელი საბუთები აღმოუჩინეს. ამასთან, დაკავებულები შეიარაღებულნი იყვნენ და ამიტომ ოსურმა მხარემ საგამოძიებო მოქმედებების დასრულებამდე უარი განაცხადა დაკავებულების საქართველოსთვის გადაცემაზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის უფროს შოთა ხიზანიშვილის განცხადებით, ქართული მხარე პროცესებში საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა აქტიურ ჩართვას ცდილობს.

# საქართველოსა და უკრაინას შორის კონტაქტები ღრმავდება

უკრაინის პრეზიდენტის ვიქტორ იუშჩენკოს გადაწყვეტილებით, ასი ქართველი სტუდენტი უკრაინაში განაგრძობს სწავლას. უკრაინის ლიდერის ეს გადაწყვეტილება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს გრიგოლ ვაშაძეს უკრაინაში ვიზიტისას ეცნობა.

გრიგოლ ვაშაძე 25-28 თებერვალს უკრაინაში "სუამის" საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭოს მე-9 სხდომაზე იმყოფებოდა. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა შეხვედრები გამართა უკრაინის პრეზიდენტთან ვიქტორ იუშჩენკოსთან, უკრაინის ვერხოვნა რადას თავმჯდომარესთან ვლადიმერ ლიტვინთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან ვლადიმერ ოგრიზკოსთან.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ და დელეგაციის წევრებმა, კიევში ვიზიტისას, გვირგვინით შეამკეს გოლოდომორის მსხვერპლთა მემორიალი.

■■■

უახლოეს მომავალში კიევში ქართული სკოლა გაიხსნება, - ასეთი გადაწყვეტილება მიიღო უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ.

"უკრაინა იყო და ყოველთვის იქნება საქართველოს პარტნიორი ქვეყანა. უკრაინასა და საქართველოს აქვს ერთი საერთო მიზანი - ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებთან ინტეგრაცია", - აღნიშნავს იუშჩენკო.

■■■

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი ვლადიმერ ოგრიზკო და საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელი გრიგოლ ვაშაძე საქართველო-უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის რეგულარული პოლიტიკური კონსულტაციების განხორციელებაზე შეთანხმდნენ, რომლის დროსაც მხარეებს საშუალება მიეცემათ, ყველა მნიშვნელოვანი საკითხი განიხილონ.

2009-2010 წლებისთვის შემუშავდა ურთიერთთანამშრომლობის კონკრეტული გეგმა. ხელი მოეწერა ორმხრივ დოკუმენტს, რომელიც ითვალისწინებს მხარეებს შორის აქტიურ თანამშრომლობას პოლიტიკური, ეკონომიკური, უსაფრთხოების, ევროინტეგრაციის, ენერგეტიკული, კულტურული და რეგიონალური მიმართულებით.

■■■

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ უკრაინელი კოლეგა ვლადიმერ ოგრიზკო ღირსების ორდენით დააჯილდოვა.

"ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს იმ აქტიურ მხარდაჭერასა და გულისხმიერებას, რომელიც ვლადიმერ ოგრიზკომ აგვისტოს ომის დროს ჩვენი ქვეყნის მიმართ გამოიჩინა", - აცხადებს ვაშაძე.

მან უკრაინელი კოლეგა საქართველოში მოიწვია. ოგრიზკო თბილისს სავარაუდოდ აპრილში ეწვევა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**




ნოდარ ლადარია

დღეს პესიმისტური სტატია უნდა დავწერო... ასე ჩავიფიქრე. იმიტომ, რომ ოპტიმისტური სტატია 27 თებერვალს გამოაქვეყნა **გიგა ზედანიამ**. არა, პესიმისტური მასაც აქვს განხილული და თან ოპტიმისტურზე უფრო ვრცლად, მაგრამ საერთო ჯამში მაინც იმედითა და ენერგიით სუნთქავს გიგას ტექსტი.

მე კი პირდაპირ ჩივილით, ანუ ელეგიით უნდა დავიწყო: საკაბელო არა მაქვს და "მაესტროს" ვერ ვუყურებ. არ ვიცი, რამდენად ეთქმის ამ აღიარებას ჩივილი, მაგრამ სიმართლეს ნამდვილად ასახავს. ერთი სიტყვით, გადაცემა "საკანი N 5" არც ერთხელ არ მინახავს. ამბობენ, ინტერნეტშიაო, მაგრამ იქ სხვა საჭიროებისთვის შევდივარ ხოლმე... რა ვქნა, არ მინახავს და ამ რეალიტი შოუს მხოლოდ მეგობრების ნაამბობითა და მონდომებულთა მიერ ჩაწერილი ციტატებით ვიცნობ.

კაცმა რომ თქვას, ეს დაბრკოლება არ უნდა იყოს, რადგან ჩემი განხილვის ობიექტად დღეს გიგა ზედანიას სტატიას ვაქცევ და არა გადაცემას, რომელსაც ეს სტატია ეხება. ტექსტის სათაურია *უცნობის საქართველო*. ავტორი პირდაპირ და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე განსაზღვრავს თავის მიზანს: "**იმის განხილვა მინდა, თუ როგორია უცნობის საოცნებო საქართველოს მახასიათებლები**".

ჩვენც მივყვეთ მსჯელობას და შეძლებისდაგვარად ხან შევავსოთ ის, ხანაც შევეკამათოთ...

მაშ ასე, პირველი ნიშანი ის არის, რომ "უცნობს" (alias **გიორგი გაჩეჩილაძე**) სურს საქართველო, რომელიც ატარებს პრორუსულ პოლიტიკას. გიგა ზედანია იწყებს გაკვირვებით: "**სანამ რუსეთი მხოლოდ არაპირდაპირად იბრძოდა ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, რუსეთის სასიკეთოდ ხმას ვერავის ამოაღებინებდი. ახლა დაგვბომბა, დამატებითი ტერიტორიები წაგვართვა, მოქალაქეები დაგვიხოცა და დაგვიწიოკა და უცებ პრორუსული დისკურსი ნიაღვარივით მოაწყდა ქართული მენტალობის ნაპირებს**". ამავე უცნაურ გარემოებას აღნიშნავს 28 თებერვლის ნომერში **ბასა ჯანიკაშვილიც**, რომელიც გამოგონილ პერსონაჟთან ინტერვიუში ასეთ "პასუხს" ისმენს: "**კიდოო, იყო ასეთი შეკითხვა, რომ ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ აზრი ასეთი იყო, რომ რას ფიქრობენ რუსეთის აგრესიაზე და ასივე პროცენტმა გვითხრა, რომ არ მოიქცა სწორად რუსეთიო, მტერს არ გაუკეთებდაო, ისე მოგვექცაო. მაგრამ იმავე ასმა პროცენტმა ორ კვირაში გვითხრა, რომ რუსეთი ჩვენი მეგობარიაო**". ამ პარადოქსში შეიძლება ორი ასპექტი გამოვყოთ: ერთია *შინაგანი წინააღმდეგობრიობა*, მეორე კი *რუსეთისადმი დამოკიდებულება*. პირველი უფრო ფართოა და ფუნდამენტური, ამიტომ პირველით დავიწყოთ, ანუ ისე, როგორც გიგა ზედანია მსჯელობს თავის ტექსტში.

რუსეთთან დაკავშირებით ის გამოყოფს ორ მომენტს, ასე ვთქვათ, "ქვეპარადოქსს", და გასაოცარი ელეგანტურობით გვიჩვენებს ვითარების აბსურდულობას. თუმცა გამარჯვების ეფექტურობა მაცდურია.

ქვეპარადოქსი პირველი: რუსული კულტურისადმი აპელირება, რომელიც წამდაუწუმ ისმის, ყალბია, რადგან ამ კულტურას სინამდვილეში არ ვიცნობთ. მაგალითი: ვილაცამ თქვა, რომ გადაცემას "საკანი N 5" უნდა რქმეოდა "პალატა N 6", მაგრამ ეს ხუმრობა ვერავინ გაიგო, ვერც გადაცემისა და მისი გმირის გულწრფელმა ფანებმა. ერთი შეხედვით, მართლაც ასეა: რუსული კულტურისადმი პიეტეტით გამსჭვალულან ადამიანები, რომლებიც ვერ სცნობენ **ანტონ ჩეხოვის** ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მოთხრობის სათაურს.

მაგრამ უბედურება ისაა, რომ ამაზე მეტ ცოდნას ქართული საზოგადოება არც მოითხოვს. "მეექვსე პალატაზე" კი, აი, რა გამახსენდა: რამდენიმე დღის წინ, საზოგადოებრივი მაუწყებლის დერეფანში შევესწარი თანამშრომელთა ჯგუფს, რომლებიც ხმაურიანად მსჯელობდნენ რაღაცაზე: თურმე **გივი სიხარულიძეს** განუცხადებია თავის რადიოგადაცემაში, მე ქართველი ჩეხოვი ვარო. ამაზე დიდი სისულელე მხოლოდ ის იქნება, თუ ვიტყვით, რომ ჩეხოვი რუსი სიხარულიძეა. მაგრამ რაიმეს ცოდნისადმი ჩვენში გაბატონებული დამოკიდებულება ამასაც აიტანს.

გიგა ზედანია ასე შეებრძოლა უმეცრებას: ჯერ გვამცნო, რომ რუსული იმპერიალიზმის უკან არაფერი დგას, ტანკების გარდა; მერე კი ჩამოგვითვალა, რა დგას ამერიკული "რბილი ძალის" უკან: "**დემოკრატია, მაკ-დონალდსი და კოკა-კოლა, ჰოლივუდი, პოპ-მუსიკა, ბოლოს და ბოლოს, დღემდე ყველაზე ძლიერი ეკონომიკა**". ამას კი მოჰყვება საკუთარი სიცხადისაგან უზომოდ თავდაჯერებული შეკითხვა: "**იგრძენით განსხვავება?**".

რას უპასუხებს ქართველი ხალხი? დიდად არა მჯერა ხალხის გულწრფელობისა, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რომ ერთადერთი სწორი პასუხი შემდეგია: ვერა, ბატონო, ვერ ვიგრძენით!

რადგან მას დღემდე ჰგონია, რომ დემოკრატია მხოლოდ ყოველგვარი სისულელის უფლებაა, რომ მაკ-დონალდსი და კოკა-კოლა ვერავითარ კონკურენციას ვერ გაუძლებს ლაღიძის წყლებსა და ფენოვან ხაჭაპურებს, რომ ჰოლივუდს ყველა პუნქტში უჯოკრავს რუსული ტელესერიალი "ბრიგადა", რომ პოპ-მუსიკას სრულიად ამოწურავს "აგუწინი" და "შუფუწინსკი", რომ ყველაზე ძლიერი ეკონომიკა ის არის, რომელსაც იმისაც კი არ ეშინია, რომ შენგან ღვინოსა და ბორჯომს არ ყიდულობს.

ვერა, ვერ გრძნობს ქართველი ხალხი განსხვავებას და რას გააწყობ?

ქვეპარადოქსი მეორე: პრორუსული პოლიტიკის მომხრეები საქართველოს ხელისუფლებას არადემოკრატიულობას საყვედურობენ. ეს მართლაც უცნაურია, რადგან თუ დემოკრატია გინდა, რუსეთი რაღა შუაშია?

მაგაზე უფრო მაგარი პარადოქსი ისაა, რომ ეს პრორუსული ბატონები იმას აბრალებენ ხელისუფლებას, ყველაფერი რუსეთს მიჰყიდაო. დიახ, მოღალატეა, რადგან ყველაფერი რუსეთს მიჰყიდაო და ჩვენ კი რუსეთს შანსი მივცეთო როგორ ეთანხმება ერთმანეთს ეს ორი რამ?

ან თუნდაც ეს გამუდმებული ულტიმატუმები, უპირობო გადადგომის მოთხოვნები, წამდაუწუმ დიალოგზე ლაპარაკი და, ამავე დროს, დიალოგისთვის მუდმივი თავის არიდება... შინაგანად წინააღმდეგობრივი მდგომარეობა ლამის ბუნებრივია და იმდენად ჩვეულია, რომ ვერც კი ვამჩნევთ.

ორი მაგალითი: **გია ნოდიას** სტატია ვადამდელ არჩევნებზე (ეს უკვე განვიხილეთ ორიოდე კვირის წინათ) და იმავე თემისადმი მიძღვნილი სტატია სათაურით *ვადამდელი*, რომელიც **დავით აფრასიძემ** გამოაქვეყნა 23 თებერვლის ნომერში. კითხულობ ამ ტექსტებს და გგონია, რომ რჩეულთათვის განკუთვნილ სიბრძნეს ეზიარები. მეც ვერ გავექეცი ამ მაცდურ შთაბეჭდილებას. სიტყვა "მაცდური" აქ არ ნიშნავს, რომ ავტორები ჩვენს შეცდენას ცდილობენ. უბრალოდ, ერთსაც და მეორესაც საკუთარი კვალიფიკაციის ზღურბლზე ბევრად დაბლა უწევს მუშაობა და მარტივი, თავისთავად გასაგები შეკითხვების დასმა! აი, შეკითხვები დავით აფრასიძის ტექსტიდან: "**როდის უნდა დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები? ... ვინ უნდა დანიშნოს ვადამდელი არჩევნები? ... ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა ვადამდელ არჩევნებში?**". სჭირდება ამ შეკითხვებს პოლიტოლოგიის ექსპერტობა? მე თუ მკითხავთ, დიპლომიც კი არ სჭირდება... უბრალოდ, ვითარებაა ისეთი, რომ ადამიანები, რომლებიც უპირობო გადადგომის მოთხოვნას უყენებენ ხელისუფლებას, არც კი ზრუნავენ ელემენტარული საკითხების ახსნაზე. ამავეს ეხებოდა გია ნოდიას სტატია, რომლის ტონი კიდევ უფრო მოკრძალებული იყო და დროებით მაინც გვიქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ "ნორმალური" პოლიტიკური პროცესის მოწმენი ვართ.

ერთი სიტყვით, გიგა ზედანიას მიერ წამოყენებული საკითხის ორი ასპექტიდან უფრო მნიშვნელოვანია პირველი, ანუ ჩვენი აზროვნების ლამის უკურნებელი წინააღმდეგობრიობა. სწორედ მისი კერძო შემთხვევაა "უცნობისა" და ძმათა მისთა პრორუსული განწყობა.

მაგრამ გიგა ზედანია სამართლიანად აღნიშნავს, რომ ეს განწყობა იმდენად პრორუსული კი არა, პროსაბჭოურია... ეს უკვე ავტორის დანახული მეორე მახასიათებელი ნიშანია. განსაკუთრებით მკვეთრად წარმოაჩენს "უცნობის" სანატრელი საქართველოს საბჭოურობას, ასე ვთქვათ, "ინწილიგენტური" და კრიმინალური სუბკულტურების აღრევას. ეს სულაც არ არის მეცნიერული კვლევის შედეგად მიღებული დასკვნა, რადგან მეხუთე საკნის პატიმარი ღია ტექსტით ამბობს: "**შევარდნაძის დროს კარგად ვცხოვრობდით, ჩახუტებულები ვიყავით...**". მაგრამ აქ საბჭოთა მემკვიდრეობა (რომელშიც კომუნისტური იდეოლოგია და კრიმინალური მენტალობა, ასე ვთქვათ, ცუდად განასახიერებდა ყოველგვარი განვითარებისათვის აუცილებელ დიალექტურ წინააღმდეგობას) ოდნავ ტრანსფორმირებული სახით გვხვდება, რაც მშვენივრად ეთანხმება გიგა ზედანიას მიერ დანახულ მესამე მახასიათებელ ნიშანს, რომელსაც დესეკულარიზაცია ჰქვია.



ახლავე ავხსნი, რისი თქმაც მსურს. საბჭოთა მემკვიდრეობის ტრანსფორმირება იმით ხდება, რომ კომუნისტური იდეოლოგიის ადგილს "უცნობის" საოცნებო საქართველოში კვაზირელიგიური რიტორიკა იკავებს. რაც შეეხება კრიმინალურ მენტალობას, იგი მარადჟამს უცვლელია, გუშინ, დღეს და ხვალ, მარად იგივე. ასე რომ ქრისტიანული სარწმუნოების არსი ახლა უკვე შემდეგი ციტატით გამოიხატება: "**ქრისტე მოვიდა და ადამიანს უთხრა: შენც შეგიძლია იყო ჩემნაირი, ყოველ შემთხვევაში, იჩალიჩე, რა**...". როგორც ვხედავთ, ყველაფერი რიგზეა: ღმერთის განხორციელების საიდუმლო და ჩალიჩი, როგორც კაცის განღმრთობის მისაღწევი ასკეტური პრაქტიკა. ეს ახალი ლიტურგიკა და ასკეტიკა შეკმაზულია ხშირი პირჯვრისწერითა და შეძახილებით ავოიეეე!!! რაც, როგორც ეტყობა, ალილუიას შემცვლელად უნდა ვიგულისხმოთ.

მაგრამ დავუბრუნდეთ გიგა ზედანიას სტატიას და ჯერ ავხსნათ ტერმინი "სეკულარიზაცია". ეს სიტყვა აღნიშნავს მდგომარეობას, როცა რელიგია არის ადამიანის პირადი საქმე და ადამიანის სოციალური საქმიანობის სფეროები (ეკონომიკა, პოლიტიკა, მეცნიერება, ხელოვნება, რელიგია) ერთმანეთისაგან საკმაოდ დამოუკიდებელნი არიან. "**ამის საპირისპიროდ, პროცესს, როდესაც რელიგია ისევ ტოტალური ხდება და საზოგადოების ყველა სფეროზე ვრცელდება, დესეკულარიზაციას უწოდებენ**". ამის შემდეგ, გიგა ზედანია ასევე სამართლიანად აღნიშნავს, რომ "**არ არსებობს შესაძლებლობა, ერთსა და იმავე ქვეყანაში ერთდროულად ლიბერალურმა დემოკრატიამაც გაიხაროს და ანტი-სეკულარულმა ცნობიერებამაც გაიმარჯვოს**".

აქვე აღვნიშნავთ, რომ ამგვარი შეუძლებელი მიზნისკენ სწრაფვა (უფრო სწორად, სწრაფვის დეკლარირება) სწორედ ზემოთ უკვე ნახსენები შინაგანი წინააღმდეგობრიობისა და რაციონალური აზროვნების დეფიციტის კიდევ ერთი დამადასტურებელი საბუთია. მაგრამ რაში მდგომარეობს ჩემი დაპირებული პესიმიზმი?

გიგა ზედანია ორ შესაძლებლობას განიხილავს: პესიმისტური ისაა, რომ ამგვარი ეკლექტური განწყობა გაიმარჯვებს და საქართველოში რაღაც ავღანეთის თუ ირანის მსგავს, მაგრამ ნაკლებად თანმიმდევრულ დომხალს მივიღებთ. ოპტიმისტური მოლოდინი კი ტელევიზიის ბუნებას ეყრდნობა: ეს ექსტრავაგანტული შოუ ნელ-ნელა დაიჭერს "ამტანების", თუ "ჯეობარის" ადგილს და მიეცემა ბუნებრივ დავიწყებას.

სწორედ ამ ბოლო შესაძლებლობას მინდა მოვაკლო ქულები.

ჩვენ ვიხილეთ მედია, როგორც რეფორმების სტიმული, ვიხილეთ მედია, როგორც რეაქციის იარაღი. ახლანდელი ვითარება შეიძლება ასე დავახასიათოთ: მედია, როგორც სისულელისა და უგემოვნებობის რუპორი. აქ საქმე მხოლოდ "მაესტროს" რეალიტი შოუს არ ეხება: თითქმის მთელი მედია-პროდუქცია უახლოვდება "ასავალ-დასავლისა" და "ალიას" დონეს. ყოფითი აზროვნების ყველაზე ბნელი და პრიმიტიული ფორმა საღდება "საზოგადოებრივ დაკვეთად" ნეტა რას ნიშნავს ეს ორი სიტყვა?

არა, ამაზე ალბათ პირველი არხის მესვეურებმა უნდა უპასუხონ ყველაზე ხშირად ეგენი იყენებენ ამ გაუგებარ ცნებას. მე სხვა რამეზე ვამბობ: ქართული მედია თვალსა და ხელს შუა იქცა სისულელის რუპორად. აქ მის ყველა გამოვლინებას შევხვდებით: "მარშრუტკის რეზონიორი" ("ერისთავის სათვალე"), ქალაქის "კოლორიტი" ("კორკოტა" და უკვე ნახსენები გივი სიხარულიძე), უსაქმური დედაკაცების ჭორაობა ("სამოთხის ვაშლები")... თანაც ეს ყველაფერი საყოველთაო ჩახუტება-მოფერების ფონზე. აბა, როგორ! განა ქრისტემ არ გვითხრა, იყვარებდეთ ურთიერთასო: ჰოდა, ჩვენც ვჩალიჩობთ, რა.

ამ ჩალიჩის განსაკუთრებულად თვალსაჩინო მაგალითია "რუსთავი 2"-ის გადაცემა "პროფილი". აქ საქმე უკვე სამრეწველო მასშტაბებით კეთდება. დაუკვირდით წარმოდგენილ ტიპოლოგიებს, კომბინაციათა მთელი პარადია: ახალგაზრდა დედები და მოხუცი დედები, მარტოხელა დედები და მრავალშვილიანი დედები, ბედნიერი სიყვარული და უბედური სიყვარული... თანაც ყოველ ცალკეულ მაგალითზე ორიდან სამ წუთამდე, რომ, არიქა, არ დავფიქრდეთ, ვერ გავიაზროთ, ვერ მოვასწროთ რაიმე ინდივიდუალური, კონკრეტული დასკვნის გამოტანა. დასკვნა ხომ ყველა შემთხვევაში მხოლოდ ერთი უნდა იყოს: მოვეფეროთ ერთმანეთს!

უბედურებაც სწორედ ეს არის. ასეთი თავისთავად კეთილი და მომხიბვლელი იდეის ეგიდით საზოგადოებაში მკვიდრდება შინაური ცხოველისათვის დამახასიათებელი მდგომარეობა, როცა ბუნებრივი უნარების სიფხიზლე სრულიად უქმი და უსარგებლოა ფერმისა თუ ბოსლის სიმშვიდეში. ამ გაბრუების მდგომარეობაში კი ნამდვილად შეიძლება შემოგვეპაროს რაიმე უბედურება... არავის ეგონოს, რომ "უცნობი" მარტოა საკანში.

## უვიზოდ საემიროებში

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში ორდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა. საემიროების უმაღლეს ხელმძღვანელობასთან შეხვედრისას გადაწყდა, რომ საქართველოს მოქალაქეებისთვის არაბეთში მგზავრობა უვიზო იქნება. გარდა ამისა, შეხვედრებისას აღინიშნა, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად არაბული ინვესტიციები საქართველოში გაიზრდება.

**ინტერპრესნიუსი**

## პარკირების ახალი სისტემა ამოქმედდა

1 მარტიდან თბილისში პარკირების ახალი სისტემა ამოქმედდა, რომელიც სატრანსპორტო საშუალებების დგომა-გაჩერების ამკრძალავ ნიშანთან გაჩერების შემთხვევაში. დაჯარიმებასა და სპეციალურ, დაცულ საჯარიმო სადგომზე ტარნსპორტის გადაყვანას ითვალისწინებს. დედაქალაქში სულ სამი საჯარიმო ავტოსადგომი იქნება. დაჯარიმებულ სატრანსპორტო საშუალებებს საჯარიმო სადგომზე სპეციალური ევაკუატორების მეშვეობით გადაიყვანენ. ავტოტრანსპორტის ევაკუაციისთვის ფიქსირებული საფასური 60 ლარი, ხოლო ავტოსადგომზე გაჩერებისთვის ყოველდღიური გადასახადი - 10 ლარი იქნება. პარკირების მოწესრიგების მიზნით გამართულ ტენდერში 2007 წელს "სითი პარკმა" გაიმარჯვა და დედაქალაქის ტერიტორიაზე პარკირების მართვის უფლება 15 წლის ვადით მოიპოვა. სატენდერო პირობების თანახმად, ამოღებული თანხის 60 პროცენტი დედაქალაქის ბიუჯეტში შევა, ხოლო დანარჩენი - კომპანიას დარჩება.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## მოსახლეობას უკვე შეუძლია შეღავათიანი სადაზღვევო პაკეტის შეძენა

1 მარტიდან მოსახლეობას უკვე შეუიძლია შეღავათიანი სადაზღვევო პაკეტის შეძენა. 5-ლარიანი სადაზღვევო პროგრამა პრეზიდენტის ინიციატივით ხორციელდება და მოსახლეობისათვის ჯანმრთელობის ხელმისაწვდომი დაზღვევას ითვალისწინებს. დაზღვევა 5 ლარი ეღირება, საიდანაც 3,35 ლარს სახელმწიფო გადაიხდის. სადაზღვევო პოლისი ითვალისწინებს უფასო გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას, ასევე პირველად ჯანდაცვას და ამბულატორიულ მომსახურეობას. დაზღვევით სამედიცინო მომსახურეობის წლიური საერთო ღირებულება დაახლოებით 8 ათას ლარს შეადგენს. მთავრობის წარმომადგენელთა განმარტებით, ხარჯისთვის პირველ ეტაპზე 15 მილიონი ლარის გამოყოფაა გათვალისწინებული, მეორე ეტაპზე 40 კი მილიონი ლარი გამოიყოფა. წლიური დაზღვევა თითოეულ ადამიანს დაახლოებით 20 ლარი დაუჯდება.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ორ ენერგეტიკოსს ელექტროგადამცემი ხაზი დაეცა

მუხიანის დასახლებაში 110 კილოვატიანი ელექტროგადამცემი ხაზის შეკეთებისას მაღალი ძაბვის სადენი გაწყდა. ელექტროგადამცემი ხაზი ორ ენერგეტიკოსს დაეცა. ერთ-ერთი მათგანის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. დაშავებულს ქალაქის მეოთხე კლინიკურ საავადმყოფოში ოპერაცია უტარდება. შემთხვევის დროს მსუბუქად დაშავებული მეორე ენერგეტიკოსი კლინიკიდან უკვე გაწერეს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირის ქვეყნებთან 78,4 მლნ აშშ დოლარია

2009 წლის იანვარში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირის ქვეყნებთან 78,4 მლნ. აშშ დოლარია, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 47,9 პროცენტით ნაკლებია; როგორც "ჯი-ეიჩ-ენს" სტატისტიკის დეპარტამენტიდან აცნობეს, იანვარში ექსპორტი 15,1 მლნ. აშშ დოლარია (62,1 პროცენტით ნაკლები), ხოლო იმპორტი - 63,4 მლნ. აშშ დოლარია (42,8 პროცენტით ნაკლები).

"ევროკავშირის ქვეყნების წილად მოდის საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 23,0 პროცენტი, მათ შორის ექსპორტის 24,2 პროცენტი და იმპორტის 22,7 პროცენტი.. ამ ქვეყნებზე მოდის სავაჭრო დეფიციტის 22,2 პროცენტი", - აცნობეს "ჯი-ეიჩ-ენს" სტატისტიკის დეპარტამენტიდან.

საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა აქვს ევროკავშირის 27 ქვეყენასთან - ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, გაერთიანებული სამეფო, გერმანია, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, ირლანდია, იტალია, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი, ჩეხეთი.

**ჯი-ეიჩ-ენი**

# უკან მომავალში?

## ომის დაბრუნება საერთაშორისო პოლიტიკაში

პირველი გვერდიდან

ცივი ომის დასრულებიდან დღემდე მსოფლიო ლიბერალური დემოკრატიის გამარჯვების ილუზიით ცხოვრობდა. გასაკვირი არაა, რომ ომების საუკუნოვანი ისტორიითა და ბირთვული განადგურების საფრთხით გადაღლილ მსოფლიოს სხვა ამერიკელი მეცნიერის - ფრენსის ფუკუიამას იდეა უფრო ხიბლავდა თავისუფლებისა და კეთილდღეობის საბოლოო გამარჯვების შესახებ. ფუკუიამას აზრით, კომუნიზმის შემდეგ ლიბერალურ დემოკრატიას ალტერნატივა აღარ ჰქონდა და თავისუფლებისა და კეთილდღეობისკენ სვლის სისხლიანი გზა (ისტორია) დასასრულს უახლოვდებოდა. ამას დაემატა რწმენა დემოკრატიული სახელმწიფოების მშვიდობიანი ბუნების შესახებ, რომლის მიხედვითაც დემოკრატიის მსოფლიო გავრცელება იქნებოდა კიდეც კანტიანური მარადიული მშვიდობის რეალიზაცია. მართლაც, 1990-იან წლებში ევროპა არ დაიქსაქსა, პირიქით, შეიქმნა ევროკავშირი და ახალი წევრებიც მიიღო. არც ნატოს დაუსრულებია არსებობა, აქაც გაფართოებამ განდევნა სიკვდილის აჩრდილი. მერშაიმერისეული წარსულის ზმანებები მხოლოდ ბალკანეთზე, კავკასიასა და მსოფლიოს პერიფერიებში დარჩა ლოკალიზებული.

შეიძლება, ლიბერალური დემოკრატია მართლაცაა მიწიერი სამოთხის პოლიტიკური ეკვივალენტი, მაგრამ მის მსოფლიო აღიარებამდე, ალბათ, კიდევ არაერთი საუკუნე გაივლის და არაერთი ომის ისტორია დაიწერება. 2001 წლის 11 სექტემბერს მსოფლიომ პირველი გაფრთხილება მიიღო, თუმცა ეს ფაქტი ახალი მსოფლიოს მოციქულებმა საკუთარ არგუმენტად აქციეს და ერისახელმწიფოს დასასრულად შერაცხეს. მათ ომს ასიმეტრიული უწოდეს და საერთაშორისო პოლიტიკის მთავარ შემოქმედს, ტერიტორიულ სახელმწიფოს ახალი აქტორი, "ტერორისტი" ამოუყენეს გვერდით. ზოგი კიდევ უფრო შორს წავიდა და ტერორიზმთან ტრადიციული ბრძოლის უსარგებლობაზე მიუთითა. მათი აზრით, ისევ კეთილდღეობა და თავისუფლება არის ის იარაღი, რაც ტერორიზმს გამოაცლიდა სოციალურ საკვებს.

კიდევ უფრო ცალსახა იყო 2008 წლის აგვისტოს გაფრთხილება. მეტიც, შეიძლება ეს თარიღი ცივი ომის შემდგომი "ამოსუნთქვის" დასასრულიც აღმოჩნდეს. რუსეთი თავს დაესხა მეზობელ ქვეყანას და სახელმწიფოთაშორისი ომი ისევ აქცია პოლიტიკის განხორციელების საშუალებად. რუსეთის ეს ნაბიჯი ანომალიაა 1990-იანი წლებიდან გამეფებული პარადიგმით, მაგრამ ლოგიკურად ახსნადია, "ნორმალურია" რეალპოლიტიკის ხედვით, რომელიც ყოველთვის ბატონობდა საერთაშორისო პოლიტიკაში.

რუსეთის ამ ნაბიჯით ფუნდამენტურად შეირყა ცივი ომის შემდგომი საერთაშორისო წესრიგის რამდენიმე საფუძველი, რომ არაფერი ვთქვათ ფილოსოფიაზე, რომელიც ამ წესრიგს ასახავდა. პირველ რიგში, ისევ რეალობად იქცა საერთაშორისო სისტემაში *რევიზიონიზმის* საკითხი. რევიზიონისტია სახელმწიფო, რომელიც უკმაყოფილოა არსებული ვითარებით და (ყველა საშუალებით) ცდილობს შეცვალოს იგი. ასეთი კი რუსეთია, რომელიც 2000-იანი წლების დასაწყისიდან ღიად აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა გეოპოლიტიკური ტრაგედია იყო. საგულისხმოა, რომ სწორედ რუსეთის ხელისუფლება ირწმუნება, რომ, თურმე აშშ (და საქართველო) არიან რევიზიონისტები, რომლებიც კავკასიაში სტატუს კვოს შეცვლას ცდილობდნენ.

რუსეთის მოქმედებამ შეარყია არსებული სისტემის მიმართ *ნდობა*. ნდობის ფენომენის მნიშვნელობა კარგად ჩანს ცივი ომის მაგალითზე. ცივი ომის დროს უსაფრთხოება ეფუძნებოდა ორ წამყვან ძალას (აშშ და საბჭოთა კავშირი) შორის ძალთა პარიტეტს და ბირთვულ იარაღს. ბირთვული იარაღის გამო ძალთა ბალანსის გაზომვა არ ხდებოდა "მცირე ომებში", როგორც ეს მე-19 საუკუნის განმავლობაში იყო, არამედ ზესახელმწიფოები "ენდობოდნენ" ერთმანეთის მზაობას. სხვა სიტყვებით, ორივე სახელმწიფოს და, ასევე, მათ ვასალებს სჯეროდათ, რომ ორივე ქვეყანა მზად იყო კონკრეტული ნაბიჯები გადაედგა გაცხადებული ინტერესების დასაცავად. აგვისტოს ომმა "ნდობის" ფენომენი მოშალა: ნიშანდობლივია შეკითხვა, რომელიც ერთ-ერთმა აღმოსავლეთევროპელმა ჟურნალისტმა დაუსვა გენერალურ მდივან სხეფერს ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრთა შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე - რამდენად მზადაა ნატო დაიცვას წევრი ქვეყნების უსაფრთხოება, ანუ რამდენად სანდოა მისი გარანტიები?

საერთაშორისო სისტემის არსებული მოდელის მიმართ ნდობის საკითხი კიდევ უფრო გაართულა *საფინანსო კრიზისმა*. საფინანსო ბაზრებს და ეკონომიკურ სისტემას არანაკლები მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო წესრიგისათვის, ვიდრე ძალთა ბალანსს. ცივი ომის შემდგომი მსოფლიოს ეკონომიკურ საფუძვლად თავისუფალი ბაზარი იქცა. დღეს კი სხვადასხვა მთავრობები ღიად საუბრობენ სახელმწიფო ინტერვენციონიზმზე, ხოლო ბრიტანულმა "ეკონომისტმა" უკვე გვამცნო ეკონომიკური ნაციონალიზმის დაბრუნება.

ასევე, აღსანიშნავია საერთაშორისო პოლიტიკის *დისკურსი*, რომელიც 2008 წლის აგვისტოს შემდეგ აშკარად შეიცვალა (უფრო სწორად, წარსულის ნიშნები დაიბრუნა). მრავალპოლუსური მსოფლიოს ცნება, რომელსაც ასე გამუდმებით ქადაგებდა რუსეთი, ახლა დასავლურ აკადემიურ წრეებშიც ისმის. მართლაც, ბევრ საკითხზე უკვე აშკარად განსხვავდება ნატო-სა და ევროკავშირის წამყვანი ქვეყნების პოზიციები - ერაყი, ავღანეთი, თუნდაც საქართველოსა და უკრაინის ნატო-ში გაწევრიანება. აღსანიშნავია, რომ მრავალპოლუსური სამყარო მეტ საფრთხეს ქმნის ომისთვის, რადგან ასეთ სისტემაში გართულებულია პოტენციური აგრესორის შეკავება. ამიტომაც სურს მოსკოვს, რომ ევროპაში და ევროპა-ამერიკას შორის განხეთქილება გაიზარდოს და ნატო-სა და ევროკავშირის არსებობას დაემუქროს. ორმხივი ურთიერთობების პრიმატი, რომელსაც კრემლი უკვე დიდი ხანია მიმართავს ევროპის ქვეყნებთან, მას საერთაშორისო ძალთა ბალანსის გადახედვის უფრო მეტ შანსს აძლევს.

ლოგიკურია კითხვა, თუ რამდენად შეუძლია რუსეთს დასახული მიზნების მიღწევა, მით უფრო, კრიზისის პირობებში. ახლახანს, საფრანგეთის პრეზიდენტი სარკოზი ირწმუნებოდა, რომ რუსეთი, თავისი შიდა პრობლემების გამო, დღეს დასავლეთს ვერ დაემუქრება. მართებული მსჯელობაა, თუ დავუშვებთ, რომ კრიზისი მხოლოდ რუსეთს უქმნის პრობლემას და დასავლეთში ერთიანობა არაა შერყეული. სამწუხაროდ, 1998 წლის აზიის კრიზისისგან განსხვავებით, ეკონომიკური და საფინანსო პრობლემები 2008 წელს დაიწყო დასავლეთში, რამაც სერიოზულად შეზღუდა აშშ-ს სამხედრო-პოლიტიკური შესაძლებლობები. აღსანიშნავია, რომ აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა დასავლელ მოკავშირეებს მეტი პასუხისმგებლობისკენ მოუწოდა, საკითხავია, რამდენად წარმატებით. როგორც ვხედავთ, ამ საკითხსაც ერთიანობასთან მივყავართ. საერთოდ, საგულისხმოა, რომ ევროკავშირს ჯერაც არ ჩაუბარებია "ტესტი ერთიანობაზე". სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ევროკავშირი ჯერაც არ შეჯახებია არსებით კრიზისს საერთაშორისო პოლიტიკაში, ანუ მის ისტორიულ წარმატებაზე საუბარი ნაადრევია.

სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ საფრანგეთის პრეზიდენტის სიტყვებმა შეიძლება მოგვაგონოს 1930-იანი წლების ევროპელი ლიდერების მოსაზრებები, რომლებიც ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნევდნენ ჰიტლერის გერმანიიდან მომდინარე საფრთხეზე საუბარს. უინსტონ ჩერჩილი, რომელიც გერმანიის წინააღმდეგ პრევენციულ ომს უჭერდა მხარს, პოლიტიკურ იზოლაციაში რჩებოდა. საინტერესოა, რომ ეკონომიკური კრიზისი მაშინაც მძვინვარებდა ევროპაში და გერმანიამ პირველმა დააღწია კრიზისს თავი. შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელობის და 1930-იანი წლების კიდევ ერთი მსგავსებაა ლიბერალური აზროვნება (აქ საერთაშორისო პოლიტიკის ლიბერალურ პარადიგმაზეა საუბარი და არა ზოგადად ლიბერალიზმზე). მაშინაც და დღესაც ევროპაში სწამდათ, რომ სამყარო გაკეთილშობილდა და ომის, როგორც ზოგადი ბოროტების დამარცხება შესაძლებელი იყო ერთიანი ძალისხმევით. პარადოქსია, მაგრამ მაშინაც და დღესაც ევროპას ყველაზე მეტად ემუქრება რწმენა, რომ მისი იდეალები უკვე განხორციელდა, ანუ ისტორია დასრულდა.

ისტორია კი გრძელდება, ვიდრე თუნდაც იდეალური და რეალური სამყარო პარალელურად იარსებებს. ამასთან, "უკან მომავალში" არ ნიშნავს ისტორიის ზუსტ განმეორებას. როგორც ჩანს, უახლოეს მომავალში უფრო ადვილი შესამჩნევი გახდება საერთაშორისო პოლიტიკის ძირითადი კატეგორიები - ძალა და ინტერესი. 2008 წლის აგვისტოში ევროპის კონტინენტზე დაბრუნდა ომი, როგორც პოლიტიკის კეთების საშუალება. თუმცა, ისტორია ასევე იძლევა მაგალითებს, რომელიც შეიძლება მომავალი საფრთხეების გასანეიტრალებლად გამოდგეს. ერთი დაკვირვების მიხედვით, აგრესორი ქვეყანა საბოლოოდ მაინც მარცხისთვისაა განწირული. მეორე დაკვირვებით, აგრესორის შეკავება უფრო ადვილი და იაფია, ვიდრე აგრესიის შედეგების აღმოფხვრა. მესამე დაკვირვებით, ე.წ. პატარა ქვეყნები, რომლებსაც საერთაშორისო პოლიტიკაზე გავლენის მოხდენა არ შეუძლიათ, გადარჩენას მხოლოდ გონივრული საგარეო პოლიტიკით და საშინაო ერთსულოვნებით შეძლებენ, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა ისტორიაში.

# კერძო დაცვის სამსახურები ევროპაში

*ევროკავშირის ქვეყნებში 2003 წლისთვის კერძო დაცვითი სამსახურების შემოსავალმა 100 მილიარდ ევროს გადააჭარბა. ხოლო 2010 წლისთვის ნავარაუდევია, რომ ეს ციფრი 200 მილიარდს მიაღწევს. 2004 წელს კერძო დაცვით სფეროში მომუშავეთა რაოდენობა პოლიციისა და საპატრულო უწყებების თანამშრომელთა რაოდენობას აჭარბებდა. შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირის 500 მოქალაქიდან ერთი კერძო დაცვის მოსამსახურე იყო, - ეს ინფორმაცია, ევროსაბჭოს მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოს პარლამენტის აპარატის საინფორმაციო უზრუნველყოფისა და კვლევების განყოფილებამ მოამზადა. ქართული საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები ამ თემით მას შემდეგ დაინტერესდნენ, რაც პარლამენტში კერძო დაცვის სამსახურის შესახებ კანონპროექტის განხილვა დაიწყო.*

საქართველოში კერძო დაცვის სამსახურის შესახებ კანონპროექტი ცოტა ხნის წინ მომზადდა და მის განხილვას პარლამენტსა თუ ექსპერტებს შორის დიდი აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა.

პარლამენტის საინფორმაციო უზრუნველყოფისა და კვლევების განყოფილების ინფორმაციით, ევროკავშირის ქვეყნებში კერძო დაცვითი კომპანიების მიერ გაწეული მომსახურების სახეები ექვს ჯგუფად იყოფა. პირველი ჯგუფი აერთიანებს - შენობებისა და გარკვეული დანიშნულების მქონე ტერიტორიების დაცვას, მათ შორის, ატომური სადგურების (გერმანია და რუმინეთი), სამხედრო ბაზების (ავსტრია, ესტონეთი და გერმანია), აეროპორტების (ავსტრია, გერმანია, რუმინეთი, დიდი ბრიტანეთი, შვედეთი, ჰოლანდია, საბერძნეთი, საფრანგეთი, ალბანეთი), ნავსადგურებისა (ალბანეთი, ბულგარეთი, ჰოლანდია) და პარლამენტის შენობების (ბულგარეთი, რუმინეთი).

მეორე ჯგუფი მუშაობს - ობიექტებზე დაცვითი ტექნიკური საშუალებების დაპროექტების, მონტაჟის და საექსპლუატაციო მომსახურების გაწევისას; მესამე - ძვირფასი ნივთებისა და ფულის დაცვა-გადაზიდვისას; მეოთხე - პირადი დაცვა (მცველი); მეხუთე - ხალხმრავალი ღონისძიებების დროს (ფეხბურთის მატჩი,

კონცერტი) წესრიგის დაცვა; მეექვსე ჯგუფში კი შედის კერძო დეტექტივისა და დამოუკიდებელი გამომძიებლის სამსახური (მალტა, ლუქსემბურგი, პოლონეთი, სლოვენია, სერბეთი, მონტენეგრო და რუმინეთი).

საინფორმაციო უზრუნველყოფისა და კვლევების განყოფილების წარმომადგენელ

ხათუნა ჩხეიძის ინფორმაციით, ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობაში კერძო დაცვითი საქმიანობის განსახორციელებლად სავალდებულოა ლიცენზიის აღება.

ჩვეულებრივ, ლიცენზია-ნებართვებს გასცემს შინაგან საქმეთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო ან სპეციალურად შექმნილი უფლებამოსილი ორგანო (დიდი ბრიტანეთი, ირლანდია), მაგრამ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნების კანონმდებლობა იმგვარ ხარვეზებს შეიცავს, რომ კანონის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. კერძოდ, ბულგარეთში, რუმინეთში და მონტენეგროში, სადაც ლიცენზიის აღება სავალდებულოა, კანონი კერძო კომპანიებს უფლებას აძლევს, რომ მათ შიდა უწყებრივი დაცვა თავად განახორციელონ. ეს კი რეგისტრაციის თავიდან აცილების საშუალებას იძლევა.

კერძო დაცვითი სამსახურების საქმიანობის კონტროლი და მათი ანგარიშვალდებულების ხარისხი დამოკიდებულია სამართლებრივ ჩარჩოებზე და ზედამხედველობის ეფექტურ მექანიზმებზე. ევროკავშირის ქვეყნებში კერძო დაცვითი კომპანიის საქმიანობაზე ზედამხედველობას სხვადასხვა უწყებები ახორციელებენ. საბერძნეთში, დანიაში, სლოვაკეთსა და უნგრეთში მათ საქმიანობას მუნიციპალური

პოლიცია აკონტროლებს. გერმანიაში, იტალიასა და შვედეთში ადგილობრივი ხელისუფლება. სლოვენიაში, პოლონეთსა და ჰოლანდიაში - შინაგან საქმეთა სამინისტროები. ლუქსემბურგში - იუსტიციის სამინისტრო. ირლანდიასა და დიდ ბრიტანეთში ამ მიზნით შექმნილია სპეციალური

უფლებამოსილებით აღჭურვილი უწყება (Security Industry Authority), ხოლო

რუსეთში - შინაგან საქმეთა სამინისტრო და გენერალური პროკურატურა.

სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში კერძო დაცვის სფეროში მოქმედი კერძო კომპანიები, კანონის მიხედვით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ კონტროლდება, მაგრამ ზედამხედველობა სუსტია და მექანიზმები - ბუნდოვანი. რაც შეეხება მარეგულირებელ კანონმდებლობას, სერბეთში კეძო დაცვის სამსახურის მარეგულირებელი სპეციალური კანონი ჯერ არ მიუღიათ, ბოსნია-ჰერცეგოვინაში ერთიანი ფედერალური კანონი არ არსებობს, მის ნაცვლად ადგილობრივი ნორმატიული აქტები მოქმედებს.

კერძო დაცვის კომპანიის თანამშრომელთა შერჩევისა და მათი სამსახურში მიღების სათანადო რეგულირება და წესები კომპანიის საერთო პროფესიონალიზმსა და მორალურ-ზნეობრივ სახეს მნიშვნელოვნად განაპირობებს. ევროპის უმრავლეს ქვეყანაში კერძო დაცვის კომპანიის თანამშრომლისთვის მინიმალური მოთხოვნაა, რომ მას ნასამართლობა არ ჰქონდეს, თუმცა ამგვარი მოთხოვნა გერმანიისა და ჩეხეთის კანონმდებლობაში დაფიქსირებული არ არის. კანონი კერძო დაცვაში სამსახურის მაძიებლისთვის ევროპის ბევრ ქვეყანაში ასაკის მინიმალურ ზღვარს აწესებს (18 ან 21) და ითხოვს, რომ მას კარგი რეკომენდაციები და მუშაობის გამოცდილება ჰქონდეს.

სამხრეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა სამსახურის მაძიებლისგან ითხოვს, რომ ის არ უნდა იყოს ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელი (მოლდავეთი), უნდა იცოდეს წერა ლათინური ანბანის გამოყენებით (ხორვატია), ფიზიკურად ჯანმრთელი უნდა იყოს და ა.შ.

სპეციალური კანონი კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ არ არის საფრანგეთსა და კვიპროსში. იტალიასა და შვეიცარიაში რეგიონული ხელისუფლების ნორმატიული აქტები ამ სფეროს არეგულირებს.

ბელგიაში, საბერძნეთსა და პორტუგალიაში კერძო დაცვით კომპანიებს იარაღის წარმოებისა და გაყიდვის სფეროში მუშაობა ეკრძალებათ. ბელგიაში, საფრანგეთსა და პორტუგალიაში კერძო კომპანიას უფლება არ აქვს, სამსახურში მიიღოს პირი, რომელიც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პოლიციაში ან უსაფრთხოების დაცვის სახელმწიფო უწყებაში მუშაობდა. შვედეთში კერძო კომპანიაში მუშაობის უფლება არ

აქვს პოლიციის თანამშრომელს, ჰოლანდიაში კი - სისხლის სამართლის საგამოძიებლო ორგანოს თანამშრომელს, ესპანეთში, ლიტვასა და მალტაში - საჯარო სამსახურის მოხელეს. საფრანგეთში კერძო დაცვის წარმომადგენელს მეწარმეობა ან ეკონომიკური სახის საქმიანობა ეკრძალება.

სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში კანონი მკაფიო საზღვრებს ადგენს კერძო კომპანიებისა და პოლიციის საქმიანობებს შორის. კოსოვოში კერძო დაცვის კომპანია კონცერტებსა და საფეხბურთო მატჩების დროს უზრუნველყოფს სტადიონზე უსაფრთხოებას, ხოლო მის გარეთ საზოგადოება პოლიციამ უნდა

დაიცვას მოსალოდნელი არეულობისგან. ხორვატიასა და ბულგარეთში კი ხშირად კერძო კომპანია და პოლიცია კონკურენციას უწევენ ერთმანეთს, რაც

ჩვეულებრივ, პოლიციის მხრიდან კონტრაქტორისთვის შედარებით იაფი

მომსახურების შეთავაზებით მთავრდება. ალბანეთში კი კონკურენცია ამ

ორ უწყებას შორის გამორიცხულია, რადგან კანონით, კერძო დაცვის

თანამშრომელთა რაოდენობა ადგილობრივი პოლიციის 5 პროცენტს არ უნდა

აღემატებოდეს.

**ინტერესთა კონფლიქტი სახეზეა, როცა სათანადო საკანონმდებლო ჩარჩოების და მარეგულირებელი წესების არარსებობის ფონზე კერძო დაცვის კომპანიაში სამუშაოდ ყოფილი პოლიციელები და უსაფრთხოების დაცვის ოფიცრები მიდიან. ხოლო კანონის არსებობის და მისი აღსრულების პირობებში, კერძო დაცვის სამსახური შეიძლება ერთადერთი ადგილი იყოს შტატების შემცირების გამო უმუშევრად დარჩენილი პოლიციელისთვის,** - აღნიშნულია საინფორმაციო უზრუნველყოფისა და კვლევების განყოფილების დასკვნაში.

ყველა ქვეყანაში პრობლემად რჩება კერძო დაცვისთვის ცეცხლსასროლი იარაღის ტარების პრობლემა. კერძოდ, დიდ ბრიტანეთში, ირლანდიაში, საფრანგეთსა და ჰოლანდიაში კერძო დაცვის თანამშრომლებს ცეცხლსასროლი იარაღის ტარება ეკრძალებათ. ბულგარეთში კი დაცვის თანამშრომლებს სპეციალური ნებართვის აღება ევალებათ. ხორვატიაში, ე.წ დაბალი რანგის თანამშრომლებს, შენობის უსაფრთხოების დაცვის წევრებს ან დარაჯებს იარაღის ტარების უფლება არ აქვთ, ხოლო პირად მცველებს ეს უფლება აქვთ, თუმცა იარაღი რეგისტრირებული უნდა იყოს კომპანიაში და არა მცველის სახელზე. სერბეთის კანონის "იარაღისა და სათადარიგო მასალების

შესახებ" მიხედვით, კერძო დაცვის სამსახურის თანამშრომელს, რომელსაც იარაღის ტარების უფლება აქვს, ნასამართლობა არ უნდა ჰქონდეს, ფიზიკურად ჯანმრთელი უნდა იყოს და სასწავლო კურსებიც უნდა ჰქონდეს გავლილი.

ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ითხოვს, რომ სასწავლო-საწვრთნელი კურსები კერძო დაცვის იარაღის ტარების უფლების მქონე თანამშრომლებისთვის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჩაატაროს, მაგალითად ესპანეთში, ხოლო ზოგან, კერძოდ იტალიაში, ეს ნებაყოფლობითია და კომპანია თავისი შეხედულებისამებრ წყვეტს ამ საკითხს. დანიასა და ესპანეთში სავალდებულოა 111-დან 240 საათამდე საწვრთნელი კურსების გავლა, საფრანგეთში კი - მხოლოდ 32 საათი. ავსტრიაში საწვრთნელი საათების რაოდენობას და მათ ხანგრძლივობას კომპანია წყვეტს. გერმანია ავალდებულებს კომპანიებს მინიმუმ 40-საათიანი კურსების გავლას.

აშშ-ში ფედერალური კანონი კერძო დაცვის სამსახურის შესახებ არ არსებობს. ამ სფეროს ცალკეული შტატების კანონმდებლობა არეგულირებს. შტატების უმრავლესობაში კერძო დაცვის თანამშრომლებისთვის ცეცხლსასროლი იარაღის ტარების ნებართვის აღება სავალდებულოა. ამასთან, მათთვის სავალდებულოა სასწავლო კურსების გავლა სროლაში.

დიდ ბრიტანეთში 2001 წელს მიღებული კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ კანონით (Private Security Industry Act 2001) დაარსდა შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანო უსაფრთხოების დაცვის სფეროში (Security Industry Authority), რომელიც არეგულირებს, როგორც დაცვითი საქმიანობის სამართლებრივ, ასევე, ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის საკითხებს. სამსახური უფლებამოსილია, აგრეთვე რეკომენდაციები და საკუთარი მოსაზრებები სახელმწიფო მინისტრს წარუდგინოს ამ წესებში ცვლილებების განსახორციელებლად და მათ დასახვეწად. კანონის მიხედვით, ლიცენზიის ვადა სამი წელია, მაგრამ სახელმწიფო მინისტრს უფლება აქვს, თავისი ბრძანებით, ვადები შეცვალოს. უსაფრთხოების დაცვის სამსახური ვალდებულია, ყოველწლიური ანგარიში თავისი საქმიანობის შესახებ სახელმწიფო მინისტრს მიაწოდოს, რომელიც, თავის მხრივ, პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს.

რაც შეეხება ჩხრეკასა და დაკავებას, ამის უფლება კერძო კომპანიების თანამშრომლებს აქვთ პოლონეთში, სლოვაკეთში, სლოვენიაში, საბერძნეთსა (მხოლოდ

აეროპორტებში) და ავსტრიაში (მხოლოდ დაკავებული პირის თანხმობით), თუმცა დაკავების ოპერაციების ჩატარება შეზღუდული მოცულობით არის შესაძლებელი.

ჰოლანდიაში, კვიპროსში, დიდ ბრიტანეთში, ჩეხეთში, ლუქსემბურგში, ფინეთსა და ესპანეთში კერძო სამსახურების თანამშრომლებს იგივე უფლებები აქვთ, რაც რიგით მოქალაქეებს. ლიტვაში კი მათ უფლება აქვთ, პირი დანაშაულის ჩადენის ადგილზე ან დანაშაულის ჩადენიდან მცირე დროის განმავლობაში დააკავონ და

პოლიციას გადასცენ, ეჭვმიტანილის ნივთები შეამოწმონ, ამ უკანასკნელის

თანხმობით. ლატვიაში შეუძლიათ დამრღვევი ან აკრძალულ ობიექტზე

უკანონოდ შესული პირი დააპატიმრონ და პირადობის დამადასტურებელი საბუთები შეუმოწმონ. ესტონეთის კერძო დაცვის თანამშრომლებს უფლება აქვთ აკრძალულ ობიექტზე უკანონოდ შესული პირი დააკავონ და გაჩხრიკონ.

**საკუთარი ინფორმაცია**

## გაერო-ს კვლევა ოჯახური ძალადობის შესახებ

ოჯახში ძალადობის შესახებ პირველი ფართომასშტაბიანი კვლევის დაწყებისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. კვლევა ტარდება გაერო-ს მოსახლეობის ფონდის პროექტის "დავძლიოთ ძალადობა ამიერკავკასიაში" ფარგლებში და სოციალურ მეცნიერებათა ცენტრთან თანამშრომლობით. აღნიშნული კვლევა არის ამ ტიპის პირველი ფართომასშტაბიანი ინიციატივა, რომელიც ერთდროულად ტარდება ამიერკავკასიის სამ ქვეყანაში - აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში. კვლევის მოსამზადებელი სამუშაოები 2008 წლის აგვისტოში ხარისხობრივი და თვისობრივი მეთოდოლოგიის დახვეწა-განვითარებით დაიწყო. მისი დასრულება 2009 წლის შემოდგომაზე იგეგმება. კვლევის შედეგები საფუძვლად დაედება გენდერული ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ეროვნული პოლიტიკის შემუშავებასა და გენდერული თანასწორობის საკითხებში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიის დაგეგმვას.

ღონისძიებაზე მოწვეული იყვნენ: საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი და პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე რუსუდან კერვალიშვილი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიორგი წერეთელი და აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები, მათ შორის ახლადშექმნილი ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭოს წევრები.

**მედიანიუსი**

## ტესტირება აღსულების ეროვნულ ბიუროში

იუსტიციის სამინისტროს აღსულების ეროვნულ ბიუროში სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსის პირველი ეტაპი - ტესტირება დაიწყო.

სტაჟირების კომისიის შემადგენლობა აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მიერ განისაზღვრა. კომისიის წევრთა ვინაობა ანონიმურია და მხოლოდ მეორე ეტაპის - გასაუბრების დროს გახდება ცნობილი,"- აცხადებს იუსტიცისს სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე ლაშა მაღრაძე.

მისივე თქმით ტესტირების შედეგები სპეციალური პროგრამით გასწორდება. აღსრულების ეროვნულ ბიუროს ეს პროგრამა ამერიკის იურისტთა ასოციაციამ" (ABA) გადასცა.

სადავო საკითხებს საპრეტენზიო კომისია განიხილავს. კომისიაში ანონიმურობა დაცულია. კონკურსანტებისთვის პასუხები ტესტირების დასრულებიდან ერთ კვირაში გახდება ცნობილი.

გამარჯვებულებს სტაჟირების გავლა აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და მის ტერიტორიულ ორგანოებშიც შეეძლებათ. ექვსთვიანი სტაჟირების წარმატებულად გავლის შემდგომ სტაჟიორებს სერტიფიკატები გადაეცემათ,"- აცხადებს მაღრაძე.

წარმატებული სტაჟიორები აღსრულების ეროვბულ ბიუროსა და მის ტერიტორიულ ორგანოებში ვაკანტურ თანამდებობებზე დაინიშნებიან.

იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნულ ბიუროში სტაჟიორთა კონკურსი ყოველწლიურად გამოცხადდება, რაც ეროვნულ ბიუროში ახალი კადრების დასაქმების პერსპექტივას შექმნის.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## კონტროლი გზებზე

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, დიდთოვლობისა და ძლიერი ქარბუქის გამო, მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური-კობის მონაკვეთზე ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია.

მეწყერული მოვლენების გამო, ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის 99-101 კმ-ებზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია ცალმხრივი რეჟიმით. ამავე გზის 1-99 კმ-ზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

დიდთოვლობის გამო, ზუგდიდი-ჯვარი-ხაიში-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზის 140-188 კმ-ებზე (მესტია-უშგულის მონაკვეთი) ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით, ხოლო ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. ამავე გზის 1-140 კმ-ებზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

დიდთოვლობის გამო, ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის 37-73 კმ-ებზე (ნაქერალას უღელტეხილი) მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა აკრძალულია, ხოლო დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. აღნიშნულ მიმართულებებზე მობილიზებულია საგზაო ტექნიკა. შეუფერხებელი და უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველსაყოფად სისტემატურად მიმდინარეობს გზების გაწმენდითი სამუშაოები. დანარჩენ გზებზე მოძრაობა თავისუფალია.

**მედიანიუსი**

## სახალხო დამცველი აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენებას აფასებს

სახალხო დამცველი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშს ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ ობიექტურად აფასებს და მოუწოდებს ხელისუფლებას, რეაგირება მოახდინოს იმ პრობლემებზე, რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში აისახა. საქართველოს სახალხო დამცველი სოზარ სუბარი მიიჩნევს, რომ 20-გვერდიან შეფასებაში ობიექტურად არის ასახული საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ არსებული მდგომარეობა, პრობლემები და მიღწევები.

სახალხო დამცველი ქვემო ქართლის საოლქო პროკურორისგან დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავებული მოქალაქეების საქმის შესწავლას ითხოვს.

სოზარ სუბარმა ქვემო ქართლის საოლქო პროკურორ მიხეილ აბულაძეს დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავებული მოქალაქეების ახსნა-გამარტებები გადაუგზავნა და აღმოჩენილ დარღვევებზე სათანადო რეაგირება მოითხოვა.

გარდა ამია, სახალხო დამცველმა მიხეილ აბულაძეს გაუგზავნა მისი წარმომადგენლების მიერ დროებითი მოთავსების იზოლატორებში ჩატარებული მონიტორინგის საფუძველზე შედგენილი ოქმი და რეკომენდაცია მისცა შემდგომი რეაგირება მოახდინოს აღმოჩენილ დარღვევებზე.

გარდა ამისა, სახალხო დამცველი მოითხოვს შს ხაშურის რაიონული სამმართველოს გამომძიებლების საქმის შესწავლას.

სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, ომბუდსმენის წარმომადგენლებმა შეისწავლეს შს ხაშურის რაიონული სამმართველოს მიერ დაკავებული რამდენიმე მოქალაქის საქმე და საგამოძიებო მოქმედებების ოქმების შესწავლის შედეგად გამოკვეთილმა უზუსტობებმა ეჭვი გააჩინა, რომ ეჭვმიტანილთა დაკითხვა მოხდა მანამ, ვიდრე მათი დაკავება და პოლიციის დაწესებულებაში მიყვანა მოხდებოდა.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ შესწავლილი მასალებიდან გამომდინარე, შს ხაშურის რაიონული სამმართველოს გამომძიებლების ზ.ელიაშვილის, გ.ღონღაძისა და ბ.ჩინჩალაძის ქმედებებში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები იკვეთება.

სახალხო დამცველმა მის ხელთ არსებული მასალები საქართველოს მთავარ პროკურორ მამუკა გვარამიას გადაუგზავნა.

საკუთარი ინფორმაცია

## სამოქალაქო რეესტრის ლაგოდეხის სამსახურში არსებულ ვაკანსიაზე კონკურსი გამოცხადდა

იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ ლაგოდეხის სამსახურში სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყოფილების უფროსის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსი გამოაცხადა.

საკონკურსო მოთხოვნებია: უმაღლესი განათლება, სამუშაო გამოცდილება 2-3 წელი, კომპიუტერული პროგრამებისა და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის ცოდნა.

დაინტერესებულმა პირებმა საბუთები 2009 წლის 12 მარტამდე სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში უნდა წარადგინონ (მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. N67.

დამატებითი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ვებგვერდზე: www.cra.gov.ge ან შემდეგ ტელეფონებზე: 35 79 20; 35 79 21; 35 79 22; 35 79 23.

**ჯი-ეიჩ-ენი**

# კრემლის პრაქტიკა

### კორუფციასა და ადამიანის უფლებების პრობლემებზე მწერალი ჟურნალისტების მკვლელები დაუსჯელი რჩებიან

*ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი რუსეთის ხელისუფლებას ნოვაია გაზეტას ჟურნალისტ ანა პოლიტკოვსკაის მკვლელობის საქმის გახსნისკენ მოუწოდებს. "ვწუხვართ, რომ საქმე ისევ გაუხსნელია. ჩვენ მოვუწოდებთ რუსეთის ხელისუფლებას, რაც შეიძლება, სწრაფად იპოვოს მკვლელები, რათა მათ ჩადენილ დანაშაულზე პასუხი აგონ," - აცხადებს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი გორდონ დუგუიდი.*
*გავრცელებული ინფორმაციით, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი, რომელიც მარტში, ჟენევაში, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრთან სერგეი ლავროვთან გეგმავს შეხვედრას, სხვა საკითხებთან ერთად, ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის საქმის გახსნისა და ობიექტური გამოძიების საკითხის დაყენებასაც აპირებს.*
*მასმედიის თავისუფლების საკითხებში ეუთო-ს წარმომადგენლის მიკლოშ ჰარაშტის განცხადებით, "რუსი ჟურნალისტების დაცვის პრობლემა უმაღლეს დონეზე უნდა მოგვარდეს". ჰარაშტი მოსკოვის საოლქო სამხედრო სასამართლოს მიერ ჟურნალისტ ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის საქმეზე განსასჯელებისადმი გამამართლებელი განაჩენის გამოტანის ფაქტს რუსი სამართალდამცველების უძლურების კულმინაციას უწოდებს და აცხადებს, რომ "რუსეთის სამართალდამცველი სტრუქტურები უუნარონი არიან, წინ აღუდგნენ ჟურნალისტებზე ძალადობას, რომელიც ქვეყანაში მრავალი წელია, გრძელდება. უკვე პრაქტიკად იქცა ის, რომ კორუფციასა და ადამიანის უფლებების პრობლემებზე მწერალი ჟურნალისტების მკვლელები დაუსჯელი რჩებიან".*



*ყოფილ განსასჯელებს სამომავლო გეგმები აქვთ.*

მოკლული ჟურნალისტის ოჯახის წევრები ნაფიცი მსაჯულების გადაწყვეტილების გასაჩივრებას არ აპირებენ. როგორც ანა პოლიტკოვსკაიას ოჯახის ადვოკატები აცხადებენ, ისინი მთლიანად ენდობიან ნაფიცი მსაჯულების გადაწყვეტილებას, რომლის საფუძველზეც, მკვლელობაში ბრალდებული ოთხივე განსასჯელი სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა.

**გამოძიებამ ვერ შეძლო სასამართლო პროცესზე წარმოედგინა და დაედასტურებინა განსასჯელების ბრალეულობა,** - აცხადებენ ანა პოლიტკოვსკაიას ოჯახის წევრები და მათი ინტერესების დამცველები.

მკვლელობაში ბრალდებულებისთვის გამოტანილი გამამართლებელი ვერდიქტის გასაჩივრებას აპირებს სახელმწიფო ბრალდება. როგორც პროკურორმა იულია საფინამ განაცხადა, სასამართლო პროცესის მსვლელობისას ადგილი ჰქონდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნების უხეშ დარღვევებს.

თავის მხრივ, მოსკოვის საოლქო სამხედრო სასამართლო პროკურატურის საგამოძიებო კომიტეტს ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის საქმეს ხელახალ გამოძიებას უბრუნებს.

როგორც მოსამართლე ევგენი ზუბოვი აცხადებს, რადგან ნაფიცმა მსაჯულებმა გადაწყვიტეს, რომ განსასჯელებს ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობაში მონაწილეობა არ მიუღიათ, პროკურატურის საგამოძიებო კომიტეტმა ახლიდან უნდა გამოიძიოს საქმე და დაადგინოს იმ დამნაშავეების ვინაობა, რომლებმაც ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობაში მიიღეს მონაწილეობა.

**მოვუწოდებთ ბრალდებას, ეყოს გამბედაობა და საკუთარი შეცდომები აღიაროს. პროკურორებს მივმართავთ, ფორმალური მოტივით ნუ გაასაჩივრებენ ნაფიცი მსაჯულების ვერდიქტს. მთავრია, რეალურად დადგინდეს ნამდვილი მკვლელების ვინაობა. ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებით, პროკურორებს სურთ, გამოასწორონ გამოძიების ვერსია, რომელმაც სერიოზული კარხი განიცადა. რაც შეეხება პროკურორების განცხადებას იმის თაობაზე, რომ სასამართლო პროცესის მსვლელობისას ადგილი ჰქონდა საპროცესო კოდექსის მოთხოვნების დარღვევას, ასეთი უმნიშვნელო და პატარ-პატარა დარღვევები ნებისმიერი საქმის განხილვისას გარდაუვალია, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც საქმის განხილვაში ნაფიცი მსაჯულების ჟიური მონაწილობს. ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის საქმის სასამართლო განხილვისას არ ყოფილა ისეთი მნიშვნელოვანი პროცესუალური დარღვევა, რომელსაც შეიძლებოდა გავლენა მოეხდინა ნაფიცი მსაჯულების გადაწყვეტილებაზე. მსაჯულების ერთსულოვანი გადაწყვეტილების გასაჩივრება არ ღირს. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც გამოძიების ვერსიებს მოისმენდა და საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს გაეცნობოდა, მიხვდებოდა, რომ ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობის საქმის გამოძიება ჯერ არ ჩატარებულა. მოხარულები ვიქნებით, თუკი მართლაც ჩატარდება კვალიფიციური გამოძიება, ჟურნალისტის ნამდვილი მკვლელები დადგინდებიან და დაისჯებიან,** - ასეთი პოზიცია აქვთ ყოფილი განსასჯელების ინტერესების დამცველებს.

რაც შეეხება პროკურატურას. სახელმწიფო ბრალმდებლების განცხადებით, განსასჯელებმაც და მათი ინტერესების დამცველებმაც ნაფიც მსაჯულებზე მსახიობური ნიჭით და ემოციური გამოსვლებით მოახდინეს გავლენა.

**განსასჯელების ადვოკატები ნაფიც მსაჯულებს მუდმივად უხსნიდნენ, რომ პროკურატურას მტკიცებულებები არ ჰქონდა, რომ პროკურატურის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ყალბი იყო. თუმცა, მათ სასამართლოსთვის ერთხელაც არ მიუმართავთ შუამდგომლობით, სახელმწიფო ბრალდების მტკიცებულებები დაუშვებელ მტკიცებულებებად ეცნო,** - აცხადებს პროკურორი იულია საფინა.

როგორც რუსული პრესა წერს, ოთხივე განსასჯელმა თავისი ბოლო სიტყვით ისე აუჩუყა გული ნაფიც მსაჯულებს, რომ ჟიურის თითქმის მთელი შემადგენლობა ტიროდა. მათ გარდაცვლილის ახლობლებსაც მიმართეს და ნამდვილი მკვლელების დადგენამდე, გამძლეობა უსურვეს. **წყეული იყოს ის, ვინც ეს დანაშაული ჩაიდინა,** - ასე დაამთავრა ბოლო სიტყვა იბრაგიმ მახმუდოვმა. ვერდიქტის გამოტანამდე განასჯელებმა ნაფიც მსაჯულებს განუცხადეს, რომ გამოძიებამ არა მარტო აკრძალული მეთოდები გამოიყენა, არამედ მთლიანად გავიდა თავისი საქმიანობის სფეროდან. **გამოძიებამ ხელისფლების დაკვეთა შეასრულა,** - აცხადებდნენ განსასჯელები.

რაც შეეხება ანა პოლიტკოვსკაიას ოჯახის სამოქალაქო სარჩელს, რომლითაც გარდაცვლილის ოჯახის წევრები 10 მილიონ ლარს ითხოვდნენ, მოსამართლემ განუხილველად დატოვა. **ეს თანხა, შესაძლოა, მომავალში დაეკისროთ იმ დამნაშავეებს, რომლებსაც ჟურნალისტის მკვლელობაში მონაწილეობა დაუმტკიცდებათ,** - ასეთი იყო მოსამართლის განმარტება.

ნაფიცი მსაჯულების ვერდიქტით გამართლებულები მათთვის კანონით მინიჭებული უფლების გამოყენებას აპირებენ და უკვე ამაზადებენ სამოქალაქო სარჩელს მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და რეაბილიტაციის მოთხოვნით.

ძმები ჯაბრაილ და იბრაგიმ მახმუდოვები, სერგეი ხაჯიყურბანოვი და პავლე რიაგუზოვი მათი დაკავების დეტალებს იხსენებენ და გამოძიების მიერ დაშვებულ შეცდომებზე საუბრობენ. ჯაბრაილ მახმუდოვი ამბობს, რომ მისი დაკავების ოპერაცია ბინ ლადენის დაკავების ოპერაციას ჰგავდა.

**დაკითხვების დროს ჩვენებებს ფიზიკური ზემოქმედების ქვეშ ვიძლეოდი. როდესაც თავზე რალაც პაკეტს ჩამოგაცმევენ, რომელიც სუნთქვას გიჩერებს და გრძნობ, როგორ კვდები, რასაც გიბრძანებენ, იმას იტყვი,** - აცხადებს ჯაბრაილ მახმუდოვი.

გათავისუფლებული ძმები მახმუდოვები, როგორც თავად აცხადებენ, სამშობლოში, ჩეჩნეთში აპირებენ წასვლას და მკურნალობას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსასწორებლად. პავლე რიაგუზოვი ამბობს, რომ თავად დაკავდება ანა პოლიტკოვსკაიას მკვლეობის საქმის გამოძიებით და საშუალება თუ მიეცემა ჭეშმარიტებასაც დაადგენს. რაც შეეხება სერგეი ხაჯიყურბანოვს, ის უახლოეს პერიოდში, შესაძლოა, კვლავ აღმოჩნდეს განსასჯელის საკამზე - საქმე ისაა, რომ მას გამოძალვაში ადანაშაულებენ.

**საგზაო-სამშენებლო კომპანია შპს. „ბლექ სი გრუპი“ აცხადებს შემდეგ ვაკანსიებს**

1. **ტოპოგრაფი** - მამაკაცი, ხელფასი 1200 ლარი topograpi@gmail.com
2. **ინჟინერ-ეკონომისტი** - /2 ვაკანსია/ პროფილი : საგზაო-სამშენებლო, ინგლისური ენის ცოდნა, გამოსაცდელი ვადის პერიოდში 700 ლარი, შემდგომ 1500 ლარი. engineereconomist@gmail.com
3. **პროექტის მენეჯერი** - გამოცდილება საგზაო მშენებელოს სფეროში მინიმუმ 5 წელი, საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა, ინგლისური ენის ცოდნა, 3000 ლარი proektismenejeri@gmail.com
4. **საგზაო საქმეთა მწარმოებელი** - 3 ვაკანსია, - გამოცდილება საგზაო მშენებელოს სფეროში მინიმუმ 3 წელი, 750 ლარი 3 თვე საცდელი ვადის პერიოდში, ხელფასის ზრდის პერსპექტივით. prarabi1@gmail.com
5. **საგზაო საქმეთა მწარმოებლის თანაშემწე** - 3 ვაკანსია, - გამოცდილება საგზაო მშენებელოს სფეროში მინიმუმ 3 წელი, 450 ლარიდან prarabisdamxmare@gmail.com
6. **წარმოების დირექტორი** - მოეთხოვება ასფალტის, ბეტონის, მილების ქარხნების მართვა, გამოცდილება ამ სფეროში მინიმუმ 3-5 წელი, ხელფასი 2000 ლარი doreqtori1@gmail.com
7. **ტექნიკის მართვის მენეჯერი** - საგზაო-სამშენებლო მექანიზმებისა და მანქანა-დანადგარების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, გამოცდილება მინიმუმ 3 წელი, ხელფასი 1500 ლარი. teknikismenejeri@gmail.com
8. **სარემონტო სახელოსნოს უფროსი** - საგზაო-სამშენებლო მექანიზმებისა და მანქანა-დანადგარების ექსპლუატაციის კონტროლი, აუცილებელია სამუშაო გამოცდილება მინიმუმ 5 წელი, ხელფასი 1500 ლარი saxelosno@gmail.com
9. **მძღოლების უფროსი** - 2 ვაკანსია. 850 ლარი, mdzgolebi@gmail.com
10. **ასფალტის სამუშაოთა მწარმოებელი** - 2 ვაკანსია, ხელფასი 1500 ლარი, აუცილებელია სამუშაო გამოცდილება მინიმუმ 10 წელი aspalti01@gmail.com
11. **ასფალტის დამგები მექანიზმის ოპერატორი** - 5 ვაკანსია, ხელფასი 1500 ლარიდან, აუცილებელია სამუშაო გამოცდილება მინიმუმ 5 წელი aspalti02@gmail.com
12. **წყლის სანიაღვრე და კანალიზაციის სისტემების ინჟინერი** - , ხელფასი 1500 ლარი, აუცილებელია სამუშაო გამოცდილება ამ სფეროში მინიმუმ 10 წელი wateristem01@gmail.com
13. **წყლის სანიაღვრე და კანალიზაციის სისტემების საქმეთა მწარმოებელი** - 3 ვაკანსია, ხელფასი 1200 ლარი, აუცილებელია სამუშაო გამოცდილება ამ სფეროში მინიმუმ 5 წელი wateristem02@gmail.com

# ევროკავშირის საგანგებო სამიტი

მარიკა იაშვილი



დაუგეგმავი სხდომის ჩატარების მიზეზი ნიკოლა სარკოზის განცხადებები გახდა

AFP ' 2009

მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისის საკითხზე ევროპელი ლიდერები ბრიუსელში შეიკრებნენ. ისინი ევროკავშირის საგანგებო სამიტზე იმ უთანხმოების გარკვევას შეეცდებიან, რომელიც ბერლინის სამიტზე კრიზისთან ბრძოლის გზებთან დაკავშირებით წარმოიქმნა.

შეხვედრა ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის ჩეხეთის ინიციატივით იმართება. დაუგეგმავი სხდომის ჩატარების მიზეზი ნიკოლა სარკოზის მიერ ბერლინში გაკეთებული განცხადებები გახდა. საფრანგეთის პრეზიდენტმა პირობა დადო, რომ იმ შემთხვევაში თუ სამუშაო ადგილებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ არ გაიტანენ, ის ავტომწარმოებლებს სამი მილიარდი ევროს ოდენობის დახმარებას გამოუყოფს.

სარკოზის გადაწყვეტილებამ ევროკავშირის წევრი სხვა ქვეყნების ლიდერებს შორის შეშფოთება გამოიწვია. მათ მიაჩნიათ, რომ სახელმწიფოს ხელისუფლების მხრიდან ამდაგვარი პროტექციონიზმი ევროპაში კრიზისის ერთობლივ დაძლევას ხელს შეუშლის.

სარკოზიმ პროტექციონიზმის ბრალდება უარყო, თუმცა განაცხადა, რომ ევროპისთვის ცუდი არ იქნებოდა, თუ მაგალითს აშშ-სგან აიღებდა, რომელიც თავის ავტომშენებლებს მნიშვნელოვნად დაეხმარა.

ევროკავშირის წევრი სხვა ქვეყნები აცხადებენ, რომ ევროპის ყველა სახელმწიფოს არ აქვს საშუალება თავის მწარმოებლებს მსგავსი დახმარება შესთავაზოს. ამის გამო ევროპა შესაძლოა ორ ნაწილად - ეკონომიკურ სფეროში უფრო ძლიერ და სუსტ ქვეყნებად დაიყოს. კონკრეტულად კი, მათი აზრით, გაყოფა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპებს შორის მოხდება.

**"ჩვენ ვერ დავუშვებთ ვერავითარ ფაქტორს, რომელსაც ევროპის დაყოფა შეუძლია. ფინანსურ კრიზისთან ბრძოლის ხერხები ევროპის ფარგლებში სოლიდარობაზე უნდა იყოს დამყარებული. ამ პროცესის ყველა მონაწილე თავის პასუხისმგებლობას უნდა აცნობიერებდეს,"** - განაცხადა ჩეხეთის პრემიერ-მინისტრმა მირეკ ტოპოლანეკმა.

პროტექციონისტული პოლიტიკა დაგმო ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზომაც და ევროპის სახელმწიფოები გააფრთხილა, რომ ქვეყნების მიერ მათი ეკონომიკის რომელიმე კონკრეტული სფეროს დახმარება საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის არ უნდა გამოიყენებოდეს. **"ევროკავშირი ღია მსოფლიო ბაზრის საჭიროებას ახლა უფრო მეტად განიცდის, ვიდრე ოდესმე, თუკი გვსურს რომ ჩვენი ეკონომიკის აღდგენა ექსპორტის ხარჯზე მოხდეს,"** - განაცხადა მან.

სავარაუდოა, რომ სამიტის მონაწილეები არ მიიღებენ არავითარ გადაწყვეტილებას უნგრეთის ხელისუფლების თხოვნასთან დაკავშირებით, რომელიც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნისთვის 180 მილიარდი ევროს ოდენობის დახმარების გამოყოფას შეეხება.

საინტერესოა, რომ ევროკავშირმა და ევროკომისიამ ბალტიისპირეთის ქვეყნებს ევროზონაში მათი დაჩქარებული წესებით მიღებაზე უარი უთხრეს. ლატვიის, ლიტვის, ესტონეთისა და ბულგარეთის თხოვნის მოტივი მათი შიდა ეკონომიკური პრობლემების დარეგულირება იყო. ამ საკითხთან დაკავშირებით ოთხი ქვეყნის ლიდერებმა ევროკავშირის მაღალჩინოსნებთან რამდენიმე კონფიდენციალური შეხვედრა გამართეს. თუმცა ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ლიდერები ევროზონის გაფართოების წინააღმდეგ გამოვიდნენ და თავისი გადაწყვეტილება არსებული ფინანსური კრიზისით ახსნეს. მით უფრო რომ ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და ბულგარეთის ეკონომიკა ევრო ზონის სტანდარტებს არ შეესაბამება.

# ყარაბაღის სამშვიდობო "ფრონტზე" ცვლილებები არ არის

## მინსკის ჯგუფი ისევ ადგილს ტკეპნის

ივა შილაკაძე

ეუთოს მინსკის ჯგუფი, რომელიც დაახლოებით 15 წელიწადია აწარმოებს მოლაპარაკებებს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოსაგვარებლად, მორიგი ვიზიტით იმყოფება რეგიონში. ამ ჯგუფის სამი თანათავმჯდომარე: მეთიუ ბრაიზა (აშშ), ბერნარ ფასიე (საფრანგეთი) და იური მერზლიაკოვი (რუსეთი) 27 თებერვალს შეხვდნენ აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილხამ ალიევსა და საგარეო საქმეთა მინისტრ ელმარ მამედიაროვს. თანათავმჯდომარე ამერიკის მხრიდან მეთიუ ბრაიზა შეხვდა აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრ საფარ აბიევსაც. თანათავმჯდომარეები 28 თებერვალს ჩავიდნენ სომხეთში, გუშინ ისინი სტეფანაკერტში (ხანკენდი) შეხვდნენ მთიანი ყარაბაღის ხელმძღვანელობას, დღეს დაგეგმილია მათი შეხვედრები სომხეთის პრეზიდენტ სერჟ სარგსიანთან და საგარეო საქმეთა მინისტრ ედუარდ ნალბანდიანთან. 3 მარტს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეები ისევ ბაქოში დაბრუნდებიან.

თანათავმდომარეების ვიზიტს ფაქტობრივად დაემთხვა ინციდენტი ეუთოს სადამკვირვებლო მისიასთან მიმართებაში როცა უცხოელ დამკვირვებლებს სროლების გამო არ მიეცათ სადემარკაციო ხაზთან ახლოს მისვლის საშუალება. ინციდენტში ორივე მხარე ერთმანეთს ადანაშაულებს. თუმცა სროლები გამყოფი ხაზის გასწვრივ ჩვეულებრივი მოვლენაა, ბოლო ერთი წლის განმავლობაში ამ სროლების შედეგად სხვადასხვა მონაცემებით დაიღუპა 5-7 ადამიანი, როგორც სამხედრო მოსამსახურეები, ასევე მშვიდობიანი მოქალაქეები, რამდენიმე ათეული კი დაშავდა. არის ნაღმებზე აფეთქების შემთხვევებიც. ორი დღის წინ სამი სომეხი ჯარისკაცი გაურკვეველ სიტუაცაში აღმოჩნდა აზერბაიჯანის მხარეს. ისინი დღეს დაკავებულები არიან.

ტრადიციულად მოლაპარაკებების შინაარსი კონფიდენციალურია. არც უცხოელი დიპლომატები და არც აზერბაიჯანისა და სომხეთის ოფიციალური პირები აკეთებენ ოფიციალურ კომენტარებს შეხვედრებზე განხილული კონკრეტული საკითხების თაობაზე. მოკლე განმარტებები ეხება მხოლოდ ზოგად პრინციპებსა და შეხვედრების გრაფიკს. თანათავმჯდომარეების სიტყვებით, საჭიროა იმ კონსტრუქციული განწყობის შენარჩუნება, რაც დაფიქსირებულია 2008 წლის ნოემბრის მოსკოვის დეკლარაციასა და 28 იანვარს სერჟ სარგსიანისა და ილხამ ალიევის შეხვერის დროს.

სომხეთის და აზერბაიჯანის მედია მხოლოდ ამ მწირი ინფორმაციის კომენტირებას და მოწინააღმდეგე მხარის ვარაუდების უარყოფას ცდილობს. არაერთგვაროვნად აღიქმება თვით მეთიუ ბრაიზას ისეთი ზოგადი განცხადებებიც, რომ "კონფლიქტის მოგვარების მხოლოდ მშვიდობიანი მეთოდები არსებობს და სამხედრო გზა მიუღებელია". აზერბაიჯანში ბევრს მიაჩნია (ოღონდ ამაზე ღიად მხოლოდ ოპოზიცია საუბრობს), რომ ამ ტიპის განცხადებები მხოლოდ სომხეთის ინტერესებს ემსახურება, რომელსაც ოკუპირებული აქვს აზერბაიჯანის ტერიტორიის 20% - თითქმის მთლიანად მთიანი ყარაბაღი და მისი მიმდებარე 7 რაიონი.

საინტერესოა, რომ რეალურად არც სომხეთისა და აზერბაიჯანის საზოგადოება, და შესაბამისად არც ხელისუფლება არ არის მზად რეალური კომპრომისისათვის. ამაზე მეტყველებს სომეხი ანალიტიკოსების ნაწილის უაღრესად რადიკალური პოზიციაც სადაც მთიანი ყარაბაღის საკითხს "აიდატის" (სომხური საკითხის) ნაწილად მიიჩნევენ, ან ბოლო პერიოდში გავრცელებულ ინფორმაცია მთიანი ყარაბაღის გარშემო აზერბაიჯანისა და თურქეთის ხელშეწყობით ქურთების ჩასახლების თაობაზე (ერაყიდან და თურქეთიდან), რომელთა გამოყენებაც უნდათ სომხეთის წინააღმდეგ. აზერბაიჯანი ამას კატეგორიულად უარყოფს და პირიქით ამტკიცებს, რომ სწორედ სომხების მიერ კონტროლირებად მთიან ყარაბაღში მოქმედებს ქურთ ტერორისტთა ბაზა. ადრე ამ რეგიონში, სწორედ მთიან ყარაბაღსა და სომხეთს შორის ვიწრო ზოლში (ლაჩინისა და კელბაჯარის რაიონები), რომელიც დღეს სომხეთის ხელშია, ქურთები კომპაქტურად სახლობდნენ.

მხარეების პოზიციები ერთმანეთისგან იმდენად განსხვავდება, რომ შეურიგებლობა ეტყობათ თვით ოფიციალურ პირებსაც კი, რომლებიც ყოველთვის ცდილობენ არ გამოვიდნენ დიპლომატიური ჩარჩოებიდან. ამას მოწმობს სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ ამ ათიოდე დღის წინ პოლონეთში გაკეთებული განცხადებაც, რომ ბაქო საფრთხეს უქმნის რეგიონში უსაფრთხოებას. სომხეთის ოფიციალური პროტესტი მოჰყვა ამერიკის ხმისთვის მიცემულ მეთიუ ბრაიზას ინტერვიუსაც. ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ ახლოვდება მთიანი ყარაბაღის (არცახის) თაობაზე ხელშეკრულების მომზადება. ხელშეკრულება უნდა დაეყრდნოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს, ასევე უნდა შეიცავდეს თვითგამორკვევის უფლებას და ძალის გამოუყენებლობას. ამ სიტყვების კომენტირებისას სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ტიგრან ბალაიანმა განაცხადა: **"გაუგებარია რა არის ამ განცხადების მიზანი. ასე შეიძლება მხოლოდ მოლაპარაკებების პროცესისათვის ხელის შეშლა, რომელიც მადრიდის წინადადებებს ეფუძნება. ეს წინადადებები ეყრდნობა საერთაშორისო სამართლის სამ თანაბარუფლებიან პრინციპს: ძალის გამოუყენებლობა, თვითგამორკვევის უფლება და ტერიტორიული მთლიანობა. სომხეთის მხარემ არაერთხელ განაცხადა, რომ მისთვის მთავარი არცახის ხალხის თვითგამორკვევის უფლების აღიარება და რეალიზაციაა. დღეს მოლაპარაკებები კონფლიქტის მოგვარების პრინციპებზე მიმდინარეობს, ამჟამად შეთანხმება არც ერთ საკითხზე არ არის მიღწეული. რაც შეეხება ხელშეკრულებას, მასზე ჯერ ადრეა ლაპარაკი."**

უკვე 15 წელია სომხეთს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის გაგონება არ უნდა, აზერბაიჯანს კი თვითგამორკვევის უფლების. ამ უკანასკნელებს საერთოდ არ აქვთ ურთიერთობა ყარაბაღის "დე ფაქტო" ხელმძღვანელებთან. მინსკის ჯგუფის წინადადებებს ხან ერთი მხარე ბლოკავს, ხან მეორე, ცხადია იმის მიხედვით, თუ ვის მხარეზე იხრება მინსკის ჯგუფის "სიმპათიები".

# კოალიციური ფიასკო ისრაელში

ისრაელში ვადამდელი საპარალმენტო არჩევნების შემდეგ უმთავრესი საკითხი კვლავ გადაუჭრელი რჩება, მემარჯვენე ოპოზიციურ პარტია "ლიკუდის" ლიდერმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ მასზე დაკისრებულ ამოცანას თავი ჯერ კიდევ ვერ გაართვა და კოალიციური მოლაპარაკებები კიდევ ერთხელ დასრულდა მარცხით. საინფორმაციო სააგენტო "როიტერის" ცნობებით, სამთავრობო კოალიციაში ცენტრისტულ პარტია "კადიმასთან" ერთად შესვლაზე მან უარი შაბათს განაცხადა.

აღნიშნული გადაწყვეტილება ნეთანიაჰუმ ციპი ლივნისთან პარასკევს მოლაპარაკებათა მეორე რაუნდის წარუმატებლად დასრულების შემდეგ მიიღო.

**"რევერანსები დასრულდა. ჩვენ აღარ ვაპირებთ "კადიმასთან" მოლაპარაკებებს, ლივნი თუ მოისურვებს თავისი პოზიციის გადახედვას და დაგვიკავშირდება, წინააღმდეგნი არ ვიქნებით,"** - თქვა ნეთანიაჰუს წარმომადგენელმა.

ანალიტიკოსებს თუ დავეყრდნობით, ამის შემდეგ "ლიკუდს" ისღა დარჩენია, რომ ალიანსის შექმნა ნაციონალ-რელიგიურ ბანაკთან სცადოს, რომლებიც თავისი პოლიტიკით "ლიკუდთან" შედარებით უფრო მემარჯვენეები არიან.

"კადიმასგან" განსხვავებით, რომელიც პალესტინელებთან კონფლიქტის გადაჭრის გააქტიურების გზას ემხრობა, "ლიკუდს" პალესტინური სახელმწიფოს შექმნის საკითხი ნაადრევად მიაჩნია და სამშვიდობო პროცესზე აქცენტების გაკეთებას პალესტინური ტერიტორიების ეკონომიკურ განვითარებაზე ყურადღების გამახვილებას ამჯობინებს.

"კადიმას", რომელმაც ქნესეთში "ლიკუდთან" შედარებით ერთით მეტი მანდატი მოიპოვა, თავად ჰქონდა კოალიციაში მმართველის პოზიციაზე ამბიცია, მაგრამ მემარჯვენე პარტიების საერთო ძალისხმევიდან გამომდინარე ისრაელის პრეზიდენტმა შიმონ პერესმა კოალიციური მთავრობის შექმნის ამოცანა ნეთანიაჰუს ანდო.

თუმცა, იმისთვის, რომ გაირკვეს ეყოლება თუ არა ისრაელს კოალიციური მთავრობა ან კიდევ უფრო ხომ არ დაიძაბება პოლიტიკური გარემო ქვეყანაში, გამოსავალი ჯერ კიდევ არსებობს. ბენიამინ ნეთანიაჰუს კოალიციური მთავრობის შესაქმნელად დრო 3 აპრილამდე რჩება.

მემარჯვენე ხელისუფლება, რომლის საყრდენიც 65 დეპუტატი შეიძლება იყოს, ისრაელის პოლიტიკოსებმა და პრესამ უკვე მონათლეს "პარალიზებულ კაბინეტად". კოალიციის ასეთი შემადგენლობა არამარტო პალესტინელებთან მოლაპარაკებების პროცესს ემუქრება გაჭიანურებით, არამედ დასავლეთთან ურთიერთობების გართულების საფრთხესაც შეიცავს, რომელიც ოფიციალური თელ-ავივისგან რეგიონულ სამშვიდობო პროცესზე მუშაობას მოითხოვს.

# აიცილეთ კურსის ცვალებადობის რისკი!




## გახსენით კონვერტირებადი ანაბარი ბანკ "რესპუბლიკაში"!

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიეთე ჟენერალი

## თქვენი ანაბრის ვალუტის კურსი ეცემა?

კონვერტირებადი ანაბარი გაძლევთ საშუალებას, გადაიტანოთ თქვენი დანაზოგი სხვა ვალუტაში და თანაც შეინარჩუნოთ ანაბარზე დაგროვილი სარგებელი.

**თუ გახსნილი გაქვთ კონვერტირებადი ანაბარი ბანკ "რესპუბლიკაში":**

- ანაბარზე განთავსებულ თანხას გაანაღდებთ ნებისმიერი ვალუტით
- მიიღებთ მაღალ სარგებელს – 14%-მდე
- ხართ მსოფლიოო საბანკო ჯგუფ "სოსიეტე ჟენერალის" პატივცემული მეანაბრე

### კონვერტირებადი ანაბრის გასახსნელად ეწვიეთ ჩვენს ნებისმიერ ფილიალს:

#### თბილისის ფილიალების ქსელი

| | | |
|---|---|---|
| სათავო ოფისი | გრ. აბაშიძის ქ. 2 | 925555 |
| ცენტრალური ფილიალი | გრ. აბაშიძის ქ. 2 | 925555 |
| დელისის ფილიალი | ალ. ყაზბეგის გამზ. 47 | 312161 |
| სადგურის ფილიალი | რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია | 910600 |
| დიდუბის ფილიალი | წერეთლის გამზ. 10 | 345556 |
| პეკინის ფილიალი | პეკინის გამზ. 28 | 433355 |
| გლდანის ფილიალი | ხიზანიშვილის ქ. 20 | 590550 |
| ისნის ფილიალი | ნავთლუღის ქ. 6/2 | 243737 |
| ფალიაშვილის ფილიალი | ფალიაშვილის ქ. 33ა | 912237 |
| ჭავჭავაძის 24 საათიანი ფილიალი | ჭავჭავაძის გამზ. 13 | 925555 |
| აღმაშენებლის ფილიალი | აღმაშენებლის გამზ. 112 | 243585 |
| ვაჟა - ფშაველას ფილიალი | ვაჟა - ფშაველას გამზ. 71 | 244114 |
| დიღმის ფილიალი | დიღმის მასივი, I კვარტალი, I ბ კორპუსი | 518515 |
| საბურთალოს ფილიალი | გურამიშვილის გამზ. 34 | 653515 |
| ორთაჭალის ფილიალი | გორგასლის ქ. 37 | 723270 |

#### რეგიონების ფილიალების ქსელი

| | | |
|---|---|---|
| ქუთაისის ფილიალი | გრიშაშვილის ქ. 6 | 8(231) 58888 |
| ბათუმის ფილიალი | ქუთაისის ქ. 6 | (888 222) 32810 |
| ბათუმის 24 საათიანი ფილიალი | გოგებაშვილის ქ.24 | (888 222) 759 26 |
| სამტრედიის ფილიალი | რაზმაძის ქ. 2 | 8 (211) 21353 |
| ზუგდიდის ფილიალი | ზვ. გამსახურდიას გამზ. 34 | 8 (215) 50008 |
| რუსთავის ფილიალი | მეგობრობის გამზ. 20 | 8 (24) 12 55 55 |
| ფოთის ფილიალი | აღმაშენებლის ქ. 50 | 8 (293) 7 00 87 |
| თელავის ფილიალი | მარჯანიშვილის ქ. 4 | 8 (250) 70040 |
| სიღნაღის ფილიალი | თამარ მეფის ქ. 1 | 8 (255) 31037 |
| ზესტაფონის ფილიალი | აღმაშენებლის ქ. 59 | 8 (292) 52512 |

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით 24 საათის განმავლობაში: (8 22) 92 55 55

www.republic.ge

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი

# ცხოვრება მშვენიერია

## "ქალი ძაღლით" მარჯანიშვილის თეატრის "სხვენში"





მარიამ ჩუბინიძე

"თუკი შესძლებთ და დაკმაყოფილდებით აწმყოთი, და გაგახარებთ იმის გაცნობიერება, რომ უარესიც შეიძლება მომხდარყო": აი მაგალითად, საუბარი რუსეთზე ჩამოვარდა. ამ დროს კი ჩეხოვზე მსჯელობთ, და არა აგვისტოს მოვლენებზე.

ეს უკვე კარგია.

წლის, ათწლეულების და თუნდაც საუკუნის თემაზე დღეს ქართულ თეატრში დადგმულ სპექტაკლებში ბევრს ლაპარაკობენ (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით: "სიტყვები, სიტყვები, სიტყვები..."), ცოტას მოქმედებენ და კიდევ უფრო ცოტას ფრთხილობენ. ზოგადად სცენაზე კი მღერიან, "აპროტესტებენ", უხარიათ...

ქართული კულტურა აქტიურად სპეკულირებს ამ თემით, ცალსახად, თითის ქნევით და ცინიზმით... ისე როგორც დიდ ცხოვრებაში და "დიდ" პოლიტიკაში.

და ამასობაში რაღაც საინტერესო გვერდით რჩება...

ვთქვათ, ცივი გონება, რომელიც გვკარნახობს რომ, არა ხშირ შემთხვევაში გადაჭარბებული წარმოდგენები უცხო ქვეყნებზე, აქამდეც შევძლებდით, გაგვერჩია მტერი და მოყვარე, და გაგვემიჯნა, მტრის ღირსებები და ნაკლი.

ჩეხოვის შემოქმედება რუსული რეალობის ღირსებაა, და ამას ვერ დაუკარგავ. ეს უბრალოდ, შეიძლება შეახსენო და აჩვენო მაყურებელს, რომელსაც პლაკატების გარდა ლიტერატურის კითხვაც შეუძლია.

მომეჩვენა, რომ მარჯანიშვილის თეატრის "სხვენში" დადგმულს სპექტაკლს "ქალი ძაღლით" ეს სურვილიც ახლავს თან. ადამიანური ურთიერთობების ფსიქოლოგიური მომენტების გახსნის გარდა, აქ ნოსტალგიას არა, მაგრამ მოვლენებისადმი გონივრულ და შემოქმედებით მიდგომას დაინახავთ. სპექტაკლის პირველ სცენაში ფაიფურის ძაღლის ფიგურა ერთგვარი ასოციაციაა რევოლუციამდელი, დალაგებული" რუსეთის, რომელიც ძალიან მალე ისევე აირევა, როგორც მოქმედი გმირების პირადი ცხოვრება. ამის მერე, ყველაფერი წარსულში გადადის, დროში, რომელზეც ჩეხოვს მისი მოთხრობით აღფრთოვანებული ლაზარევსკი წერდა: ჯერ კიდევ ისეთი საშიში არ არის ქვეყნად ცხოვრება".

ამ დროში ორ გმირს (ანა - ნანკა კალატოზიშვილი, გუროვი - ნიკა თავაძე) ერთმანეთი სიცოცხლეზე მეტად" უყვარდებათ და ამ სიყვარულითვის მსხვერპლსაც იღებენ; სხვებისთვის (სანიტარი - ნატა კახიძე) მოსკოვში წასვლა ისევ საოცნებოა, თოჯინები (თოჯინების ავტორი - ნინო ნამიჭეიშვილი) კი - რომელთაგან ზოგი გმირების პროტოტიპს წარმოადგენს, ხოლო ზოგიერთი კი დამოუკიდებლი პერსონაჟია - ხან დუმან, ხან აკვირდებიან, ხან აკრიტიკებენ მოვლენებს. ამგვარად, მოთხრობის სცენაზე გადატანის ერთგვარი სირთულე რეჟისორის (ლევან წულაძე) მიერ საკმაოდ საინტერესოდ, თოჯინების დახმარებით და ჩეხოვის სხვა ტექსტების დამატებით (მათ შორისაა ცხოვრება მშვენიერია") არის დაძლეული; ეს თოჯინები შესანიშნავად თამაშობენ ქვეტექსტებს, ავტორისეულ განწყობას რომელიც, ზოგადად, პიესებისგან განსხვავებით, მოთხრობებსა თუ რომანებში გაცილებით ინტიმურია და, ამიტომ საკამათო ხდება ხოლმე. კამათი კი ძირითადად ასე ფორმულირდება (განსაკუთრებით, ჩეხოვთან მიმართებაში): არის თუ არა ეს ჩეხოვი.

ჩეხოვი ის ავტორია, რომელსაც, მოგეხსენებათ, ხშირად აღნიშნავენ, რომ საქართველოში ვერ დგამენ. საუბარი უმთავრესად მის პიესებზეა, და გარკვეულწილად, ეს თვალსაზრისი საფუძველს მოკლებულიც არ არის. მაგრამ ქალი ძაღლით" ამ პიესებისგან განსხვავდება თავისი განწყობით, ხასიათებით; რუსული სიჯიუტე აქ არც ისე უხვადაა, რომ ქართულმა ხასიათმა ის ვერ დაძლიოს. შესაბამისად, ამ ნაწარმოების ინტერპრეტაციათა სითამამე შეიძლება არც ისე გულსაკლავად გვეჩვენოს. წმინდა წყლის ჩეხოვი, ეს სპექტაკლი რასაკვირველია, არაა, მაგრამ ვეჭვობ, ეს ამ თეატრის დარბაზში შეკრებილ მაყურებელს უნდოდეს. ალბათ, კომპრომისი ისევ დაშვებულია, მაგრამ შედარებით უმტკივნეულო შედეგით. სადა, და უპრეტენზიო სცენიურ გარემოში (სცენოგრაფია - ლევან წულაძე) ადამიანური ვნებები თამაშდება. სპექტაკლის საექსპოზიციო ნაწილი გაცილებით უკეთაა რეჟისორის და მსახიობების მიერ დამუშავებული, ვიდრე შემდგომი სცენები, განსაკუთრებით კი მეორე მოქმედებაში. პირველი აქტი უკეთ გამოხატავს შემოქმედებითი ჯგუფის განწყობას. თუმცა კი, ვფიქრობ, რომ რეჟისორის და მსახიობების დამოკიდებულება მოვლენების მიმართ ერთმანეთისგან განსხვავდება. მიუხედავად იმისა, რომ აქ ძლიერ გრძნობებსა და ვნებებზეა საუბარი, იგრძნობა, რომ რეჟისორი ამ ყველაფერს გადაჭარბეული დრამატიზმით არ უდგება; და სრულიად სამართლიანად, აქ ირონიისთვისაც პოულობს ადგილს. მისგან განსხვავებით კი, მსახიობები ძალზე სერიოზულები არიან, მოვლენების გარედან შეფასების გარეშე დარჩენილნი. ეს ერთგვარ დისონანს იწვევს სპექტაკლში, თუმცა აქვე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ მეორე მოქმედებაში, რეჟისორსაც ეცვლება განწყობა, და სამწუხაროდ, ის ლამის მელოდრამას სთავაზობს მაყურებელს, (ვგულისხმობ ნიკა თავაძის გმირის თითქმის პათეტიკურ მონოლოგს, რომელიც თითქოს ამოვარდნილია სპექტაკლის საერთო სტილისტიკიდან, და შემდგომ, ხმამაღალი და ასევე პათეტიკური მუსიკის ფონზე (კომპოზიტორი: ვახტანგ კახიძე) საყვარელ ქალთან ჩასვლის გადაწყვეტილების მიღების სცენას), რითაც თითქოს კარგავს იმ იუმორს და სიფაქიზეს, რაც მანამდე სპექტაკლში მისი გადაწყვეტილებით და თოჯინების შესრულებით ამ თითქოს უსულო არსებებს შემოაქვთ სცენაზე.

ვისაც ლევან წულაძის ფაუსტი" აქვს ნანახი, ის განსაკუთრებულად ელოდა ამ სპექტაკლს, რადგან ფაუსტთან" ერთად კარგად ახსოვდა ის დადებითი ემოციები, რომლებიც მაშინ თოჯინებს მოჰქონდათ სცენიდან. უნდა, აღვნიშნო, რომ ამჯერადაც თოჯინები მოწოდების სიმაღლეზე დგანან, ხშირ შემთხვევაში მსახიობებზე უფრო მეტად გამომსახველობითნიც არიან და რეჟისორის ჩანაფიქრს, დამოკიდებულებას თუ ნამუშევარს უფრო სრულყოფილად გადმოსცემენ; არიან ძალიან კარგი პარტნიორები, რაზეც მათთან მსახიობების თამაშის ხარისხით შეგვიძლია ვიმსჯელოთ. მართლაც, ისინი იმდენად მგრძნობიარეები არიან, და იმდენად ესმით ყველაფერი, რომ შეუძლებელია დაალალატო. მსახიობი ნიკა თავაძე განსაკუთრებული პროფესიული გახსნილობით და თანაგრძნობით თამაშობს მათთან, თავადაც უფრო აქტიური, მობილიზებული და მიზანმიმართულია. დაახლოებით, ასევეა მონოლოგების დროსაც და ერთ-ერთ პარტნიორთან, სანიტართან (ნატა კახიძე) სცენებში. თუმცა, სამწუხაროდ, მთავარ პარტნიორთან, ნანკა კალატოზიშვილთან სცენებში ის თითქოს შებოჭილია, და ეს არ არის გმირის გაუბედაობა. ვფიქრობ, რომ გარკვეულ სცენებში მსახიობის მიერ ჯერ კიდევ ბოლომდე დადგენილი ან გათავისებული არ არის მისი გმირის ხასიათი და განცდები. ემოცია კი არსებობს, მაგრამ მას ჯერ მკაფიოდ ჩამოყალიბებული ფორმა არ აქვს, რომელიც ქმედებაში გამოვლინდებოდა. რეჟისორმა მას ჩეხოვისეული გმირის ერთი ნიშანი დაუკარგა", ანუ მოთხრობაში გუროვი ანაზე ასაკით თითქმის ორჯერ დიდია, რაც ამ გმირის განცდებს სრულიად სხვა მიმართულებით წარმართავს. ამ შემთხვევაში, ნიკა თავაძე გუროვის თვითკრიტიკული შეფასებების და ერთდროულად, მამაკაცური დაეჭვების თუ თავდაჯერებულობის შეგრძნების გარეშე რჩება, მხოლოდ საკუთარი გრძნობების ამარა; თან კიდევ, სპექტაკლში არც ჩეხოვის ამხსნელი სიტყვებია. ეს ყველაფერი კი საქმეს ართულებს. ამიტომ მსახიობი მუდმივად საკუთარი გმირის ქცევის გაანალიზების პროცესში უნდა იყოს, რომ ურთიერთობების განვითარება არ დაირღვეს.

დაახლოებით იგივე შემიძლია ვთქვა ნანკა კალატოზიშვილზე. გუროვისგან განსხვავებით მის გმირს, ანას სცენაზე დიდხანს ვერ ვხედავთ, ის სულ რამდენიმე სცენაშია, ამიტომ მისი ხასიათის შტრიხები თითქოს მაყურებლის წარმოსახვასთან ერთად იხაზება. ამ პირობებში, ნანკა კალატოზიშვილის გარეგნობა უდაოდ მომგებიანია და ესთეტიკური თვალსაზრისით, გამართლებული არჩევანი. მაყურებლისთვის გუროვის გრძნობები გასაგები ხდება, როდესაც მართლაც ასეთ მომხიბვლელ ქალბატონს უყურებს. თუმცა, ეს საკმარისი არ არის, პიროვნული თანაგანცდა აუცილებელია რომ მხატვრულ გამართლებასაც ემყარებოდეს, ამისთვის კი ნანკა კალატოზიშვილს საკუთარ გმირზე მუშაობა ისევ სჭირდება. ის ჩეხოვის საკმაოდ წინააღმდეგობრივ პერსონაჟს განასახიერებს, ერთდროულად სუსტ და ძლიერ ქალს, რომელიც არჩევანს აკეთებს და ნამდვილი გრძნობების გავლით საკუთარი თავის შეცნობას იწყებს. ვფიქრობ, რომ ეს პირობები მსახიობისთვის საინტერესო სამუშაო მასალას უნდა წარმოადგენდეს, და ამ შემთხვევაში, ისინი ჯერ კიდევ ასათვისებელია და გასააზრებელი. ზოგიერთ სცენაში მსახიობი თითქოს ინერტულიცაა, რაც მოთხრობის თუ სპექტაკლის საერთო ხასიათიდან გამომდინარე, გაუმართლებლად მეჩვენება.

სპექტაკლში საინტერესო სამსახიობო დებიუტი შედგა. ეს არის მსახიობ ნატა კახიძის ნამუშევარი. ის ორ როლს თამაშობს, სანიტრისას და გუროვის მეუღლის. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი პირველშია, სადაც პროფესიული ზომიერებით (რაც განსაკუთრებით დებიუტანტებისთვის ხშირად ძნელი მისაღწევია) ქმნის თავქარიანი სენტიმენტალური, და ალბათ ყველა ჩამოსულ დამსვენებელზე შეყვარებული სანიტრის როლს. გამართული მეტყველებით და კარგად მოძებნილი მიმიკით მისი გმირის არც ერთი სიტყვა თუ მოძრაობა სცენაზე არ იკარგება (რასთანაც, სხვათაშორის ნ. კალატოზიშვილის და ბესო ბარათაშვილის თამაშში გვაქვს საქმე: მათი ხმა ზოგიერთ სცენაში თითქმის არ ისმის), და რაც მთავარია, ის ახერხებს, რომ არ გასცდეს იმ ზღვარს, რის შემდეგაც სახასიათო გმირების უგემოვნო მანერულობა იწყება.

კიდევ ერთი მსახიობია სპექტაკლში, ბესო ბარათაშვილი. ის პროფესორს განასახიერებს, რომელიც ცხოვრების მშვენიერებაზე მსჯელობს, თუმცა გაუგებარია, რა განწყობა აქვს მის გმირს. მითუმეტეს, რომ მსახიობის ხმა ხშირად ვერ აღწევს დარბაზში.

ამ გმირებმა მოიყარეს თავი სხვენში". ისინი, ამ შემთხვევაში, ჩეხოვზე უფრო მეტად ლევან წულაძემ შეახვედრა ერთმანეთს. შესაბამისად, შეუქმნა ისეთი გარემოც, სადაც სავარაუდოდ ისინი უფრო კომფორტულად და შინაურულად იგრძნობდნენ თავს, და ვფიქრობ, სწორედ აქ იქნა დაშვებული ერთგვარი კომპრომისი. პირველ რიგში ასეთად სპექტაკლის მუსიკა მიმაჩნია, რომელიც ვერ ქმნის ერთიან, სრულყოფილ განწყობას და უფრო, ცალკეული სცენების ფონად რჩება. გარდა ამისა, ქართული, ლამის სუფრული მუსიკის მოტივებს საკმაო დისონანსი შემოაქვს სპექტაკლში. ჩემთვის გაუგებარია, რისთვის სჭირდება რეჟისორს ამგვარი ეროვნულლირიული გადახვევები, მითუმეტეს, მაშინ როდესაც განწყობის შესაქმნელად, აშკარად და მიზანმიმართულად, არც რუსულ მოტივებს მიმართავს.

ქართული სინამდვილე კიდევ მჟღავნდება სპექტაკლში, არა ერთხელ. პირველად თოჯინების სახით. რამდენიმეკაციანი, ქართველი გენერლების ჯგუფი სხვების მსგავსად იალტაში ისვენებს. მათი მოულოდნელი და ხანმოკლე გამოჩენა სცენაზე ნამდვილად საინტერესოა და ყურს და თვალს უხეშად არ ხვდება. მაგრამ ამის შემდეგ მოდის სცენა, რომელიც მხატვრული თვალსაზრისით, ვერაფრით ამართლებს საკუთარ არსებობას და უცბად აგდებს მაყურებელს, სპექტაკლის აქამდე კარგად გათვლილი და ინტელიგენტური ხასიათიდან. ქართველების თემა უფრო მასშტაბური ხდება, რითაც აბსოლუტურად კარგავს მომხიბვლელობას. სავალდებულო გამაჯანსაღებელ პროცედურებს გამოქცეული ქართველები ანას აივნის წინ რომანსს უმღერიან, ქართული აქცენტებით. დასასრულს, კი ანთებული ფიალით ხელში ქორეოგრაფი გია მარღანიაც ჩნდება სცენაზე და კინტოებისთვის დამახასიათებელ, კოცნის გაგზავნის მოძრაობას ასრულებს. შეიძლება ერთ ასე ვთქვათ, გახურებულ რეპეტიციაზე მოულოდნელად დაიბადოს ასეთი იდეა, საკმაოდ სალაღობოდაც აღიქმებოდეს და შემოქმედებითი ჯგუფი კარგადაც გაერთოს, მაგრამ ეს უკვე იუმორის ის კატეგორიაა, რომლითაც ჯობია ისევ ახლობელთა წრე გაერთოს და სპექტაკლში არ შევიდეს, რადგან ის სრულიად არღვევს იმ რიტმს და ხასიათს რომელიც მაყურებლამდე მსახიობებს და თოჯინებს მოაქვს.

მიუხედავად, შენიშვნებისა, ვფიქრობ, რომ ქალი ძაღლით" ბოლო დროს მარჯანიშვილის თეატრში დადგმულ სპექტაკლებიდან გამორჩეულია. ბოლოსდაბოლოს, აქ ჰყვებიან ამბავს, და რაც მთავარია, თეატრის ენით. მიზეზებს შედეგები მოსდევს (მართალია მიზეზ-შედეგობივი კავშირის უფრო დაზუსტება შეიძლება, მაგრამ მაინც), გმირებს თავიანთი ცხოვრების დრამატურგია აქვს და როცა ისინი ერთმანეთს კვეთენ, იბადება კონფლიქტი.

მოკლედ, ცხოვრება მშვენიერია.

აი მაგალითად: ჩვენ კონფლიქტზე ვმსჯელობთ, მაგრამ, გიხაროდეთ, რომ ეს დრამატურგიული კონფლიქტია, და არა პოლიტიკური. ამათგან ორივეს თავისი ადგილი აქვს, და ერთმანეთში მათი არევა არ ღირს. მინიშნებები შეიძლება, თეატრი ამისთვისაა.

# სირაქლემა, როგორც შეწყვეტილი სიცოცხლის სიმბოლო

## ბაია გალერეაში ვახტანგ თოფურიძე გაიხსენეს

თამარ კიკნაველიძე



გუშინ მხატვარ ვახო თოფურიძეს დაბადებიდან 49 წელი შეუსრულდებოდა. მისი ხსოვნის საპატივსაცემოდ, ბაია გალერეაში ავტორის შემოქმედების ამსახველი მცირე ექსპოზიცია გაიხსნა.

ვახო თოფურიძემ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კინო-ტელე ფაკულტეტი 1985 წელს დაამთავრა. მონაწილეობდა სხვადასხვა ჯგუფურ გამოფენებში, მათ შორის მოსკოვში მოწყობილ ქართველ მხატვართა ექსპოზიციაში. მის პერსონალურ გამოფენას, შარშან, გალერეა რაციომ უმასპინძლა. ვახო თოფურიძის ნამუშევრები დაცულია: აშშ, გერმანია, იტალია, საფრანგეთი. ჯგუფური თუ პერსონალური გამოფენების გარდა, მას გაფორმებული აქვს ლევან ღლონტის მხატვრული ფილმი, დღე .

ბაია გალერეას საექსპოზიციო დარბაზში მხატვრის სულ 36 ნამუშევარი - 20 - გრაფიკა, 16 - ფერწერა - გამოიფინა. მათ შორის უმრავლესობა მხატვრის საოჯახო კოლექციიდან შეირჩა. ექსპონირებულ ნამუშევრებში ნათლად წარმოჩინდა მხატვრის კომპოზიციათა მრავალფეროვნება, სახვითი ხელოვნების სხვადასხვა ჟანრით გატაცება და ოსტატობა.

ვახო თოფურიძის დაუსათაურებელ ნამუშევრებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფერწერულ პორტრეტებს, გრაფიკულ ნიუებს თუ ნატურმორტებს. ნატურმორტებს შორის, რამდენიმე კუბისტურია. დამთვალიერებელი აღმოაჩენს, რომ ამ მხატვრის მრავალფეროვანი ხედვა მის თითოეულ ნამუშევარში იკითხება. აღსანიშნავია, რომ ექსპოზიციაზე ის ნახატიც გამოიფინა, სახელწოდებით - სირაქლემა, რომლის დამთვარებაც მხატვარმა ვერ მოასწრო - ის 2007 წელს გარდაიცვალა.

ვახო პროფესიონალი მხატვარი იყო, ძალიან შრომისმოყვარე. საოცრად განიცდიდა, როდესაც სამუშაო მასალა არ ქონდა... ერთხელ, სურათი, რომელიც ახლა ჩვენს სახლში ინახება, მან იატაკისა და ფანჯრების შესაღებად განსაზღვრული საღებავებით შექმნა... მხატვრობის გარდა, იყო მთვამსვლელი, იბრძოდა აფხაზეთში, სამაჩაბლოში... , - გაიხსენა ვახო თოფურიძის მეუღლემ ანი ხაბეიშვილმა.

საიუბილეო თარიღთან დაკავშრებით ორგანიზებული გამოფენები ბაია გალერეაში ადრეც გაუმართავთ, მაგალითისთვის ირაკლი ფარჯიანის პერსონალური გამოფენის დასახელებაც კმარა. მსგავსი ექსპოზიციების მოწყობით, როგორც ამ გალერეას ხელმძღვანელი ბაია წიქორიძე აღნიშნავს, ხდება გარდაცვლილი ავტორების გახსენება და მათი შემოქმედების იმ უწყვეტ ჯაჭვში წარმოჩენა, რომელსაც თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნება ჰქვია.

ვახო თოფურიძის მხატვრობა, სტილისტურად, 80-იანელების მსგავსია, ის მათი თანამოაზრეა და ვფიქრობ, რომ კოლორიტის თვალსაზრისით, გარკვეული სტილისტური შეხება აქვს თამაზ კაკაბაძის მხატვრობასთან.

ვახო თოფურიძე ჩვენს გალერეაში პირველად იფინება და სასიხარულოა, რომ მისი ნამუშევრების ექსპონირებით მხატვრის მეგობრებს თუ მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებს კიდევ ერთხელ გავახსენეთ უდროოდ გარდაცვლილი ავტორი. მით უფრო, რომ ქვეყანაში არ არსებობს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, რომელიც თანამედროვე ქართველი მხატვრების ნიმუშებს შეინახავდა და მკვლევარებისა თუ დამთვალიერებლებისთვის უფრო ხელმისაწვდომს გახდიდა , - აღნიშნა ბაია წიქორიძემ.

აღნიშნულ გალერეაში ვახო თოფურიძის პერსონალური გამოფენა 4 მარტამდე გაგრძელდება, 6 მარტს კი, იქ თამუნა ლეჟავას ბისერებით შესრულებული ნამუშევრების ექსპოზიცია გაიხსნება, სახელწოდებით - ყელსაბამი .

# U2-ს პესიმისტური ალბომი

## No Line on the Horizon ოფიციალურად გამოვიდა

დღეს 2 მარტია - დღე, რომელსაც U2-ის თაყვანისმცემლები ხუთი წელია ელიან. სწორედ ამდენი დრო გავიდა 2004 წლის ბოლო ალბომის, How to Dismantle an Atomic Bomb-ის გამოსვლის შემდეგ, დღეს კი ჯგუფის ახალი სტუდიური ნამუშევარი - No Line on the Horizon გამოვიდა. ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ ახალი ალბომის პირველი მსმენელი გაზეთ Guardian-ის მკითხველი გახდა.

U2-მ ახალი რელიზის გავრცელება მეტად ორიგინალური ხერხით გადაწყვიტა და გაზეთის ყველა ნომერში თითო კომპაქტ დისკი ჩადეს, გაზეთის მუსიკალურ გვერდზე კი კრიტიკოსების რევიუებია დაბეჭდილი. მათი შეფასებით, ჯგუფის ახალი ნამუშევარი ზედმიწევნით დახვეწილი და უმაღლეს დონეზე შესრულებულია. თერთმეტივე ტრეკი ხაზს უსვამს თვითოეული მუსიკოსის პროფესიონალიზმს და ამავდროულად U2-ს მრავალწლიან შემოქმედებასაც შეგვახსენებს. ალბომს საკმაოდ პესიმისტური შინაარსის სათაური აქვს, რასაც კრიტიკოსები ჯგუფის წევრების საზოგადოებრივ აქტიურობასაც აბრალებენ. როგორც იცით, U2-ს ფრონტმენი ბონო აქტიურადაა ჩართული ჰუმანიტარულ საქმიანობაში, რაც მის მუსიკაზეც აისახება.

No Line on the Horizon ოფიციალურ რელიზამდე ერთი კვირით ადრე ინტერნეტშიც გამოჩნდა, თუმცა ცხადია არალეგალური გზით. ამაში დამნაშავეა კომპანია Universal Music-ის ავსტრალიური წარმომადგენლობის პორტალი Getmusic.com.au, რომელზეც ახალი ალბომის მთავარი ტრეკების დემო ვერსიების მოსმენა იყო შესაძლებელი. სწორედ ამ პორტალის ადმინისტრაციას "გაეპარა" ქსელში მთელი ალბომი, რითაც მაშინვე ისარგებლეს ინტერნეტ მეკობრეებმა, შედეგად კი მთელი მასალა ტორენტ საიტებზე აღმოჩნდა.

პარალელურად U2-ს ახალ ნამუშევართან დაკავშირებით მცირე სატელევიზიო სკანდალიც აგორდა. ბრიტანული "ბიბისი" ჯგუფისა და მისი ალბომისადმი ზედმეტ ყურადღებაში დაადანაშაულეს. კრიტიკოსების აზრით, ამ ტელეკომპანიამ იმდენჯერ ჩაწერა ინტერვიუ U2-ს წევრებთან და ისე ხშირად ახსენებს No Line on the Horizon-ს, რომ ჩნდება ეჭვი, ეს გამიზნული რეკლამაა და არა კეთილი ნების გამოხატულება. ამ ფაქტს გაზეთმა The Daily Telegraph-მა საკმაოდ მკაცრი სტატიაც მიუძღვნა და არც იმ გადაცემებისა და სიუჟეტების ქრონომეტრაჟის მითითება დავიწყებია, რომლის განმავლობაშიც "ბიბისის" ეთერში U2-ზე საუბრობდნენ. ტელეკომპანია მხოლოდ ერთი არხის ეთერით არ კმაყოფილდება და ბონოსა და კომპანიას "ბიბისი 2-ის", ასევე მისი კუთვნილი Radio 1-ს, Radio 2-ისა და Radio 4-ის ეთერსაც უთმობს. გარდა ამისა ტელეკომპანიის ოფიციალურ საიტზე U2-ს მომავალი კონცერტის აფიშაცაა განთავსებული, რომელსაც ჯგუფის ოფიციალური ვებ გვერდის ბმულიც ერთვის. ამდენი ფაქტის მიუხედავად, The Daily Telegraph-ის ჟურნალისტებმა ჯერ ვერ მიაგნეს ჯგუფსა და ტელეკომპანიას შორის არსებული ფინანსური გარიგების დამადასტურებელ ფაქტს. "ბიბისის" ხელმძღვანელობამ კი განაცხადა, რომ მსოფლიო შოუ ბიზნესის მნიშვნელოვან მოვლენებს ყოველთვის ასე ეხმაურებიან. "U2 მსოფლიოში ცნობილი და პოპულარული ჯგუფია, ამიტომ მიგვაჩნია, რომ მისი ახალი ალბომის გამოსვლას, მით უმეტეს, ამდენ- ხნიანი პაუზის შემდეგ სათანადო ყურადღება უნდა დავუთმოთ. ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენების გაშუქებას პირველ რიგში ჩვენი აუდიტორია ითხოვს, ჩვენ კი ვარჩევთ, რომელი თემა იქნება მათთვის განსაკუთრებით საინტერესო", - ნათქვამია "ბიბისის" დირექციის ოფიციალურ განცხადებაში.

პარალელურად U2-ს თაყვანისმცემლებისთვის ახალი სასიამოვნო ინფორმაცია გახდა ცნობილი: ახალი ალბომის მხარდასაჭერი ტურნეს კონცერტების ბილეთები ნახევარ ფასად გაიყიდება. ამით ჯგუფის წევრები მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს ეხმაურებიან. ცნობილი გახდა ისიც, რომ ტურნე მეტად ორიგინალური და განსხვავებული იქნება. "ამ შოუსთვის მრავალი წლის განმავლობაში ვემზადებოდით, ამიტომ ნამდვილად განსაკუთრებული კონცერტები გელით", - განაცხადა "ბიბისის" ეთერით ბონომ.

რამდენიმე დღის წინ კი ჯგუფმა მართლაც უცნაური კონცერტი ჩაატარა - პირდაპირ ლონდონის ერთ-ერთ ქუჩაზე. ყველასთვის მოულოდნელი 20 წუთიანი შოუ ცხადია ახალი ალბომის მხარდასაჭერი აქცია იყო. მუსიკოსებმა ორი ახალი კომპოზიცია Get On Your Boots და Magnificent და რამდენიმე ძველი ჰიტი შეასრულეს. მათ მოსასმენად რამდენიმე წუთში 5 ათასი ადამიანი შეგროვდა, რამაც საგზაო მოძრაობის პარალიზება გამოიწვია. მინი კონცერტის დასრულების შემდეგ ჯგუფის წევრები საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის ჯარიმის გადასახდელად გაეშურნენ.



ყოველ ორშაბათს საქართველოს ეროვნული მუზეუმი და გაზეთი "24 საათი" წარმოგიდგენთ პროექტს, რომელიც ეროვნულ მუზეუმში გაერთიანებული სხვადასხვა მუზეუმის გამორჩეული ექსპონატების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.



# მუმია, სარკოფაგი და ორი პავიანი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის აღმოსავლურ კოლექციებში დაცულ უნიკალურ ნივთებს შორის მნიშვნელოვანებით უდაოდ გამოირჩევა ეგვიპტური ექსპონატები: მუმია სარკოფაგითურთ და ორი პავიანი.

ცნობილმა ქართველმა დიპლომატმა და მოგზაურმა გიორგი ივანეს ძე ავალიშვილმა 1819-20 წწ. ეგვიპტეში მოგზაურობისას 1200 ოქროდ შეიძინა სარკოფაგი მუმიით, დათარიღებული ძვ.წ VII-VIსს. რომელიც მალევე თბილისში იქნა ჩამოტანილი.

სარკოფაგის წარწერათა მიხედვით მისი მფლობელის სახელი, ტახერ-შემს-ენ-მუტ "სახლის ქალბატონის" ტიტულს ატარებს.

წარწერა გვაუწყებს, რომ გარდაცვლილი, ქალღმერთ მუტის მსახურთა ხელმძღვანელის ქალიშვილია. მუტის ტაძარი ააგო ამენჰოტეპის კარის ხუროთმოძღვარმა ააგო და ის ეგვიპტის ახალი სამეფოს ხანას განეკუთვნება.

ეგვიპტელებს სჯეროდათ იმქვეყნიური ცხოვრების არსებობისა. მუმიფიცირების წესი, რომელიც ეგვიპტეში იყო დამკვიდრებული, სწორედ ამ რწმენის გამოხატულებაა. თავად სიტყვა "მუმია" რაბული წარმოშობისაა და "მუმ" ცვილს ნიშნავს. სხეული შენახვის მიზნით შიგნეულობისაგან თავისუფლდებოდა, ცვილითა და თაფლით იჟღინთებოდა და სურნელოვანი ხსნარებითა და სხვადასხვა დანამატებით ივსებოდა, რაც მას გახრწნისაგან იცავდა. მისი მოთავსება სპეციალურ სარკოფაგში, რომელიც როგორც წესი რელიგიური შინაარსის მოხატულობით იყო დატვირთული, ასევე ძველეგვიპტელთა ტრადიციას წარმოადგენდა.

საინტერესო ისტორია აქვთ პავიანებსაც... როგორც ცნობილია, უძველეს ხანაში ეგვიპტელები თაყვანს სცემდნენ ტოტემს. ჩვენი მუზეუმის პავიანები, ქვაში კვეთილი მაიმუნის ქანდაკებები, XIX საუკუნეში, ეგვიპტის უძველესი ქალაქის თებეს არქეოლოგიური გათხრების დროს იქნა აღმოჩენილი. მოგვიანებით ისინი პარიზში, ეგვიპტური სიძველეების კვლევით ცენტრში გადაიტანეს. პავიანები სანკტ-პეტერბურგში, მდ. ნევის ნაპირას მდგომი სახელგანთქმული სფინქსების ქანდაკებათა თანადროულნი არიან და დაახლოებით 2000 წელს მოითვლიან.

საქართველოში პავიანები ცნობილი ლიკანის სასახლის მფლობელების, რომანოვების ძალისხმევით იქნა ჩამოტანილი. წყვილი კანდაკება 2500 მანეთად იქნა შესყიდული და პარიზიდან ლიკანში გადატანილი, სადაც აკადემიკოს ბენუას მიერ დაპროექტებული ლიკანის პარკის კიბის სათავეს ამშვენებდა - სასახლის მთავარი შესასვლელის პირდაპირ. ლიკანის სასახლის ბინადარი პავიანები დღეს საქართველოს ხელოვნების მუზეუმის აღმოსავლურ კოლექციათა საცავებს ამშვენებენ.

*ტატიანა გრიგოლია*
*საქართველოს ეროვნული მუზეუმი*

# მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**სესხი: მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი**
**კონტრაქტის ნომერი და სახელწოდება:** P41198-NCB-1-41
ქ. ქარელში სტალინისა და ცაბაძის ქუჩების რეაბილიტაციის ქვეპროექტი
**საკონკურსო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა: 2009 წლის 31 მარტი**

საქართველოს მთავრობამ მიიღო აზიის განვითარების ბანკის (აგბ) სესხი **მუნიციპალური სერვისების განვითარების პროექტის** დასაფინანსებლად. აღნიშნული სესხის ნაწილი გამოყენებული იქნება ზემოთ ხსენებული პროექტის დასაფინანსებლად. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს აგბ-ის უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი („დამკვეთი“) იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე მონაწილეობის უფლების მქონე ორგანიზაციებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები დალუქულ კონვერტებში ქ. ქარელში სტალინისა და ცაბაძის ქუჩების სარეაბილიტაციო ***სამუშაოების*** განსახორციელებლად („სამუშაოები“).

სამუშაოები მოიცავს:

1. ფრეზირებული მასალა 1114 კბ.მ.
2. ფრაქციული ღორღი 2294 კბ.მ.
3. ბეტონი 31 კბ.მ.
4. მსხვილმარცვლოვანი ასფალტობეტონი 15 900 კვ.მ.
5. წვრილმარცვლოვანი ასფალტობეტონი 22 100 კვ.მ.
6. ბეტონის ბორდიურები 205 გრძ.მ.

კონტრაქტის განხორციელების პერიოდი შეადგენს **4 თვეს**.

აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შემდეგი კვალიფიკაციების მქონე უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს:

- კონკურსანტს, როგორც გენერალურ კონტრაქტორს, ბოლო 5 წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს განხორციელებული მინიმუმ ორი მსგავსი ტიპის სამუშაო, თითოეული არანაკლებ **0,9** მილიონი ლარის ღირებულებით. სამუშაოთა სირთულე შედარებული იქნება საკონკურსო წინადადებით განსაზღვრულ სამუშაოებთან;
- საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს მინიმუმ **5,2** მილიონი ლარი;
- ლიკვიდური აქტივების და/ან კრედიტის მოზიდვის საშუალებების მოცულობა, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებებით განსაზღვრული საკრედიტო საშუალებების გარდა, უნდა შეადგენდეს **1,2** მილიონი ლარის ექვივალენტს. კონკურსის მონაწილემ უნდა უზრუნველყოს დოკუმენტური მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მისი ფინანსური მდგრადობა არ არის შემოთავაზებული საკონკურსო წინადადების ფასზე ნაკლები;
- კონკურსის მონაწილემ უნდა აჩვენოს, რომ მისი ძირითადი პერსონალი აკმაყოფილებს მოთხოვნილ კვალიფიკაციას: მსგავსი ტიპის პროექტებში მინიმუმ 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება;
- კონკურსის მონაწილე უნდა ფლობდეს საკონკურსო დოკუმენტაციაში მითითებულ სამუშაოების განხორციელებისთვის აუცილებელ მანქანა-დანადგარებს, ან ვალდებულია უზრუნველყოს მათი ხელმისაწვდომობა. აღნიშნული აღჭურვილობა უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში და უნდა შეძლონ აღნიშნულის დემონსტრირება.

ეროვნული საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება აზიის განვითარების ბანკის ერთეტაპიანი პროცედურის შესაბამისად: შერჩევა ერთი კონვერტის სატენდერო პროცედურების მიხედვით.

დაინტერესებულ კონკურსის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონურსო დოკუმენტაციის ნახვა შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10:00-დან 17:00 სააათამდე (შაბათ-კვირის გარდა):

უფლებამოსილი პირი: ბ-ნი ლაშა გოცირიძე, მგფ-ს აღმასრულებელი დირექტორი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზ. N150, თბილისი 0112, საქართველო
IV სართული, ოთახი 405
ტელ: (+995-32) 48-45-09/10/11/15
ფაქსი: (+995-32) 48-45-55
ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge

დაინტერესებულ უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს საკონკურსო დოკუმენტაციის სრული პაკეტების შეძენა შეუძლიათ ზემოთ მოცემულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარმოდგენისა და არანაზღაურებადი 200 ლარის გადახდის შემდეგ. გადახდის მეთოდს წარმოადგენს პირდაპირი დეპოზიტის ან ტრანსფერის განხორციელება შემდეგ ანგარიშზე:

**მოსარგებლის სახელი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**მოსარგებლე ბანკი: რესპუბლიკა ბანკი, ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქ. N2, თბილისი, საქართველო**
**უცხოური ვალუტის ანგარიშის ნომერი: 341 800 01 (აშშ დოლარი)**
**ადგილობრივი ვალუტის ანგარიშის ნომერი: 340 800 01 (ქართული ლარი)**
**SWIFT Code: REPLGE22 C/A No.: 04-414-550 with Deutsche Bank Trust Company Americas, NY**
**SWIFT Code: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104**

ყველა საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს გარანტია **23,000** ლარის ან აღნიშნულის ექვივალენტის ოდენობით თავისუფლად კონვერტირებად ვალუტში და წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოთ მოცემულ მისამართზე არა უგვიანეს 2009 წლის **31 მარტის 14:00** საათისა.

საკონკურსო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის **31 მარტს 14:00** საათზე იმ კონკურსის მონაწილეთა თანდასწრებით, რომელნიც მოისურვებენ აღნიშნულ პროცედურაზე დასწრებას.

# მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**სესხი: მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი**
**კონტრაქტის ნომერი და სახელწოდება:** P41198-NCB-1-43
**დაბა ვალეს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია**

**საკონკურსო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა: 2009 წლის 31 მარტი**

საქართველოს მთავრობამ მიიღო აზიის განვითარების ბანკის (აგბ) სესხი **მუნიციპალური სერვისების განვითარების პროექტის** დასაფინანსებლად. აღნიშნული სესხის ნაწილი გამოყენებული იქნება ზემოთ ხსენებული პროექტის დასაფინანსებლად. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს აგბ-ის უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი („დამკვეთი“) იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე მონაწილეობის უფლების მქონე ორგანიზაციებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები დალუქულ კონვერტებში ***დაბა ვალეს წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების*** განსახორციელებლად („სამუშაოები“).

სამუშაოები მოიცავს:
მონოლითური რკინა ბეტონის სამუშაოები - 201,5 მ3

მიწის მექანიზირებული სამუშაოები - 28095 მ3
ლითონის ბადით შემოღობვის სამუშაოები - 2193 მ2
ლითონის მილსადენები საერთო სიგრძით - 6812 გრ. მ
რ/ბ ჭები (d=1.0 მ და 1.5 მ) - 126 ცალი
ქვიშა - 280 მ3
ღორღი - 900 მ3
ბეტონის წვრილი ბლოკები - 2220 ცალი
კონტრაქტის განხორციელების პერიოდი შეადგენს **5 თვეს**.

აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შემდეგი კვალიფიკაციების მქონე უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს:

- კონკურსანტს, როგორც გენერალურ კონტრაქტორს, ბოლო 5 წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს განხორციელებული მინიმუმ ორი მსგავსი ტიპის სამუშაო, თითოეული არანაკლებ **0,5** მილიონი ლარის ღირებულებით. სამუშაოთა სირთულე შედარებული იქნება საკონკურსო წინადადებით განსაზღვრულ სამუშაოებთან;
- საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს მინიმუმ **2,3** მილიონი ლარი;
- ლიკვიდური აქტივების და/ან კრედიტის მოზიდვის საშუალებების მოცულობა, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებებით განსაზღვრული საკრედიტო საშუალებების გარდა, უნდა შეადგენდეს **0,65** მილიონი ლარის ექვივალენტს. კონკურსის მონაწილემ უნდა უზრუნველყოს დოკუმენტური მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მისი ფინანსური მდგრადობა არ არის შემოთავაზებული საკონკურსო წინადადების ფასზე ნაკლები;
- კონკურსის მონაწილემ უნდა აჩვენოს, რომ მისი ძირითადი პერსონალი აკმაყოფილებს მოთხოვნილ კვალიფიკაციას: მსგავსი ტიპის პროექტებში მინიმუმ 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება;
- კონკურსის მონაწილე უნდა ფლობდეს საკონკურსო დოკუმენტაციაში მითითებულ სამუშაოების განხორციელებისთვის აუცილებელ მანქანა-დანადგარებს, ან ვალდებულია უზრუნველყოს მათი ხელმისაწვდომობა. აღნიშნული აღჭურვილობა უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში და უნდა შეძლონ აღნიშნულის დემონსტრირება.

ეროვნული საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება აზიის განვითარების ბანკის ერთეტაპიანი პროცედურის შესაბამისად: შერჩევა ერთი კონვერტის სატენდერო პროცედურების მიხედვით.

დაინტერესებულ კონკურსის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონურსო დოკუმენტაციის ნახვა შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10:00-დან 17:00 სააათამდე (შაბათ-კვირის გარდა):

უფლებამოსილი პირი: ბ-ნი ლაშა გოცირიძე, მგფ-ს აღმასრულებელი დირექტორი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზ. N150, თბილისი 0112, საქართველო
IV სართული, ოთახი 405
ტელ: (+995-32) 48-45-09/10/11/15
ფაქსი: (+995-32) 48-45-55
ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge

დაინტერესებულ უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს საკონკურსო დოკუმენტაციის სრული პაკეტების შეძენა შეუძლიათ ზემოთ მოცემულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარმოდგენისა და არანაზღაურებადი 200 ლარის გადახდის შემდეგ. გადახდის მეთოდს წარმოადგენს პირდაპირი დეპოზიტის ან ტრანსფერის განხორციელება შემდეგ ანგარიშზე:

**მოსარგებლის სახელი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**მოსარგებლე ბანკი: რესპუბლიკა ბანკი, ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქ. N2, თბილისი, საქართველო**

**უცხოური ვალუტის ანგარიშის ნომერი: 341 800 01 (აშშ დოლარი)**

**ადგილობრივი ვალუტის ანგარიშის ნომერი: 340 800 01 (ქართული ლარი)**

**SWIFT Code: REPLGE22 C/A No.: 04-414-550 with Deutsche Bank Trust Company Americas, NY**
**SWIFT Code: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104**

ყველა საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს გარანტია **13,000** ლარის ან აღნიშნულის ექვივალენტის ოდენობით თავისუფლად კონვერტირებად ვალუტში და წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოთ მოცემულ მისამართზე არა უგვიანეს 2009 წლის **31 მარტის 12:00** საათისა.

საკონკურსო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის **31 მარტის 12:00** საათზე იმ კონკურსის მონაწილეთა თანდასწრებით, რომელნიც მოისურვებენ აღნიშნულ პროცედურაზე დასწრებას.

# გამარჯვების გემო

პირველი გვერდიდან

გორგოძე საერთოდ ცალკე საუბრის თემაა. ის უკვე ჩამოყალიბდა, როგორც ესპანეთის ნაკრების შემმუსვრელი. მადრიდში ხომ 2 ლელოთი გამოიჩინა თავი, შარშან კი თბილისში 3 ლელო გაუტანა ესპანელებს და ჩვენს გუნდს გამარჯვება მოაპოვებინა, მას შემდეგ, რაც "ბორჯღალოსნები" - 0:17 აგებდნენ. მამუკა გორგოძის ანგარიშზე უკვე 17 ლელოა საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში და ამ შედეგით მან "ბორჯღალოსანთა" საუკეთესო ბომბარდირის სახელი დაიმკვიდრა. კიდევ ერთი საიუბილეო ფაქტი ეხება გია ლაბაძეს, რომლისთვისაც ესპანეთთან თამაში 50-ე იყო სანაკრებო კარიერაში და კარგია, რომ წარმატებული გამოდგა.



ლევან ხუხაძის ფოტო

ტიმ ლეინის გუნდმა ნაცად ტაქტიკას მიმართა - ლელოებზე გადაიტანა აქცენტი და, პორტუგალიისგან განსხვავებით, ამჯერად გაუმართლა. ქართველი მორაგბეები მოკლე დარტყმებით ცდილობდნენ გაერღვიათ მასპინძელთა დაცვის ხაზი და შემდეგ ერთი ზუსტი პასით გაეყვანათ თანაგუნდელი ხელსაყრელ პოზიციაზე. ზოგჯერ მიძალებითაც ცდილობდნენ ფონს გასვლას. ერთი სიტყვით, ტიმ ლეინი შეეცადა გუნდის თამაშში მრავალფეროვნება შეეტანა და სასიამოვნოა, რომ ქართველმა მორაგბეებმა რუმინეთთან თამაშის წინ 8 ლელო გაიტანეს. ეს ფაქტი, პირველ რიგში, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით გამოადგებათ ჩვენს "ბორჯღალოსნებს".

რაც შეეხება რუმინეთის ნაკრებს, "მუხის ფოთლები" რუსებთან დამარცხდნენ საშინაო შეხვედრაში - 10:19 და პრაქტიკულად დასაკარგი აღარაფერი დარჩათ. ამიტომ ისინი მხოლოდ მოსაგებად ჩამოვლენ. ეს მატჩი 14 მარტს თბილისში გაიმართება.

"გამარჯვება ყოველთვის სასიამოვნოა, მით უფრო, გასვლით მატჩში, - ამბობს გია ლაბაძე, - როცა მეტოქეს გარკვეული ფსიქოლოგიური უპირატესობა აქვს. მიხარია, რომ ჩემი სანაკრებო 50-ე შეხვედრა ამაღლებულ ნოტზე დავასრულეთ. ამისთვის დიდ მადლობას ვუხდი ჩემს თანაგუნდელებს. ჩვენი მიზანი იყო, რაც შეიძლება მძლავრად შეგვეტია. ვფიქრობ, სასურველ შედეგს მივაღწიეთ. ჩანს, რომ ავითვისეთ ის ტაქტიკა, რაზეც კანში, საწვრთნელი შეკრებისას ვიმუშავეთ. ეს ესპანეთთან თამაშმაც გამოაჩინა. ჩვენ სწორედ ლელოს გატანაზე გვქონდა თამაში აწყობილი. წინ ორი ურთულესი თამაში გველის. თბილისში გვიწევს შეხვედრა რუმინეთის ნაკრებთან, რომელსაც რუსეთთან წაგების შემდეგ უკან დასახევი გზა აღარა აქვს. იმედი მაქვს, აქაც წარმატებას მივაღწევთ."

### ევროპის ერთა თასი

**ესპანეთი 11:55 საქართველო**

**საქართველო:** 1. დავით ხინჩაგაშვილი, 2. აქვსენტი გიორგაძე, 3. გოდერძი შველიძე, 4. ილია ზედგინიძე, 5. ლევან დათუნაშვილი, 6. გიორგი ჩხაიძე, 7. გია ლაბაძე, 8. მამუკა გორგოძე, 9. ირაკლი აბუსერიძე (კ), 10. ლაშა მალაღურაძე, 11. ირაკლი ჩხიკვაძე, 12. ირაკლი გიორგაძე, 13. დავით კაჭარავა, 14. ირაკლი მაჩხანელი, 15. ოთარ ბარკალაია.

**მარქაფა:** 16. ირაკლი ნატრიაშვილი, 17. დავით ქუბრიაშვილი, 18. დიმიტრი ბასილაია, 19. რატი ურუშაძე, 20. ბიძინა სამხარაძე, 21. თედო ზიბზიბაძე, 22. ალექსანდრე თოდუა.

**8 ლელო:** საჯარიმო ლელო, გორგოძე (2), აბუსერიძე, მალაღურაძე, ნატრიაშვილი, კაჭარავა, მაჩხანელი.

**6 გარდასახვა:** მალაღურაძე.

**ჯარიმა:** მალაღურაძე.

**მთავარი მწვრთნელი:** ტიმ ლეინი

**ესპანეთი:** 1. იონ ინსაუსტი, 2. ხოსე მარია ბოჰორკეზი, 3. ხავიერ სალაზარი, 4. ლეანდრო ფერნანდეს არამბურუ, 5. სერხიო სოუტუ, 6. დავიდ ჰერნანდეზი, 7. ხუან გონსალესი, 8. სესარ ბერნასკონი, 9. პაბლო ფეიხოო, 10. ერემიას პალუმბო, 11. დავიდ მოტა, 12. ხაიმე ნავა, 13. ხავიერ კანოსა, 14. ხუან კანო, 15. სესარ სემპერე.

**ლელო:** პალუმბო.

**2 ჯარიმა:** პალუმბო.

**მთავარი მწვრთნელი:** ჯედ გლინი

**რუმინეთი 10:19 რუსეთი**

# გაყინულ ჩანჩქერზე, თოვლის ჭიქივით

ავთანდილ ბურასაშვილი

*ტანას ხეობაში, 40 მეტრამდე სიმაღლიდან კლდეზე გადმოკიდებული ყინულის ჩანჩქერის ძირში 50-მდე ახალგაზრდა შეკრებილიყო. მათ შორის იყო უშბაზე ეულად ამსვლელი და მეკლდეურობაში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ნუკრი გველებიანი, რომელმაც გაყინულ ჩანჩქერზე შარშან უბადალო ოსტატობით გაიმარჯვა. ნუკრი აქ ახლაც იგივე მიზნით ამოვიდა, მაგრამ შეფიქრიანებული ჩანდა - სიცხიანი წამოვედი და არ ვიცი, რას ვიზამო. მერე, როცა კენჭისყრით N13 ერგო, ხელები გაშალა, ესღა მაკლდაო*



ავთანდილ ბურასაშვილის ფოტო

ამ ცხრა წლის წინათ გორის ტურისტულ-ალპინისტურ კლუბ ტონთიოს აქტივისტებმა ამბავი ჩამოგვიტანეს, ჩვენთან, ტანას ხეობაში, სოფელ ბიისის მახლობლად, თითქმის ვერტიკალურ გაყინულ ჩანჩქერს მივაგენითო, - გვიამბობს საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდენტი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი შოთა მირიანაშვილი, - თავდაპირველად ამ გაყინულ ჩანჩქერს ჩვენი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გიორგი ნიკოლაძის სახელობის ალპინისტური კლუბის წევრები დეკემბერ-იანვარ-თებერვალში ეპიზოდურად სტუმრობდნენ. მერე მასზე ძალის მოსინჯვა იმდენად პოპულარული გახდა, რომ 1961 წელს ტიან-შანზე, მწვერვალ პობედაზე დაღუპული მთამსვლელების, საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონების, ჯუმბერ მეძმარიაშვილის, ილია გაბლიანისა და ორგზის ჩემპიონის თეიმურაზ კუხიანიძის ხსოვნის უკვდავსაყოფად, აქ ტრადიციული მემორიალის ჩატარება გადავწყვიტეთ.

ტურნირს 2005 წელს დავუდეთ სათავე. წლევანდელი თბილი ზამთრის გამო ყინულმა სიმაღლეშიც და სიგანეშიც მოიკლო, მაგრამ ამან შეჯიბრების ჩატარებაზე ხელი ვერ აგვაღებინა. მემორიალს, თბილ ზამთართან ერთად, ეკონომიკური კრიზისით გამოწვეული უსახსრობაც დაემუქრა, მაგრამ სპონსორთა წყალობით შეჯიბრება გადარჩა.

ერთი სიტყვით, ვინც ამ შაბათს, დილაუთენია, თბილისურ წვიმას არ შეუშინდა, გორის რაიონისკენ გასწია და ტანას ხეობაში იმ ჩანჩქერზე საასპარეზოდ ავიდა.

რაც შეეხება თავად შეჯიბრებას, ნუკრი გველებიანს გამარჯვებაში ვერც სიცხემ შუშალა ხელი, ვერც იმ დანავსულმა ნომერმა და ვერც მეტოქეებმა. იმ ფრიალო ყინულზე, თოვლის ჯიქივით, მართლაც თვალის დახამხამებაში აირბინა, ქვემოთ ჩამოსულს კი სპონსორთაგან ჩემპიონობისთვის დაწესებული უამრავი პრიზი ელოდა. უსაჩუქროდ არც მეორე და მესამე პრიზიორები - გურამ გაზდელიანი და მირზა ლიპარტელიანი დარჩენილან, არც შეჯიბრების სხვა მონაწილენი.

ქალთა შორის უძლიერესი იყო ანა დულარიძე, მეორე-მესამე ადგილებზე კი, შესაბამისად, ზოია მჭედლიანი და ხატია გოგიძე გავიდნენ.

## ჯაკობიამ "არსენალთან" 1,5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა

საქართველოს ნაკრების ყოფილმა თავდამსხმელმა ლაშა ჯაკობიამ გუშინ საღამოს კიევის "არსენალთან" 1,5-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. 28 წლის ჯაკობიამ უკრაინის ჩემპიონატის პირველი წრე ხარკოვის "მეტალისტში" ჩაატარა, რის შემდეგაც ალექსანდრე ზავაროვისგან მიიღო წინადადება და მეორე წრისთვის მოსამზადებელი ეტაპი "არსენალთან" ერთად გაიარა. კიევურმა კლუბმა "მეტალისტის" საბანკო ანგარიშზე სატრანსფერო თანხის გადარიცხვა მოასწრო და ქართველი ფორვარდიც წელიწად-ნახევარი დაიცავს კიეველთა ღირსებას.

## ჯოკოვიჩის პირველი ტიტული

ნოვაკ ჯოკოვიჩმა დუბაის 2,23-მილიონდოლარიანი ტურნირის ფინალში დავიდ ფერერს სძლია და წლის პირველი, ხოლო კარიერის მე-12 ტიტული მოიხვეჭა.

ამ სეზონში თავის პირველ ფინალში გასულმა 21 წლის სერბმა, რომელიც ვაჟ ჩოგბურთელთა მსოფლიო რეიტინგში მე-3 საფეხურზე დგას, თავისზე 5 წლით უფროსსა და 11 ადგილით ქვემდგომ ესპანელ მეტოქეს 7:5 6:3 აჯობა.

ეს მათი მე-7 დაპირისპირება იყო და ჯოკოვიჩი 4:3 დაწინაურდა.

შარშანდელი წლის დამაგვირგვინებელი რვაკაცა მასტერსთასის მოგების შემდეგ მას ჯოკოვიჩს აღარ გაემარჯვებინა. დუბაიში მან 2007 წელს მეოთხედფინალი დათმო (როჯერ ფედერერთან), ხოლო შარშან - ნახევარფინალი (ენდი როდიკთან).

რაც შეეხება ფერერს, შარშან ჰერტოგენბოსხში მოგებული ტურნირის შემდეგ ის სეზონის პირველ, ხოლო საერთოდ მე-8 ტიტულზე ნადირობდა.

## კიდევ ერთი ქართველი ამერიკაში

საკალათბურთო კლუბ თსუ-ს უკანახაზელმა, საქართველოს მე-18 ეროვნული ჩემპიონატის მე-12 ტურის საუკეთესო კალათბურთელმა მიხეილ ფანჩულიძემ გუნდი დატოვა და სწავლის გასაგრძელებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა.

მიხეილ ფანჩულიძემ თსუ 2007-2008 წლების სეზონის დასრულების შემდეგ დატოვა და ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ნიუ იორკის უნივერსიტეტში, ფინანსური ანალიზის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ფანჩულიძე ყოფილ კლუბს ზამთრის არდადეგების დროს შეუერთდა და ფინანსურ კრიზისში მყოფ თსუ-ს რამდენიმე შეხვედრაში დაეხმარა.

## მოჭადრაკეებმა ქუთაისური შეკრება დაასრულეს

ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების მიზნით, ქართველმა მოჭადრაკეებმა ქუთაისში მდებარე სასტუმრო იმერეთში ჭადრაკის ფედერაციის მიერ ორგანიზებული ათდღიანი შეკრება გაიარეს.

შეკრება დაგეგმილი იყო მოჭადრაკე ქალთა და ვაჟთა 2009 წლის ეროვნულ ჩემპიონატში პირველ-მესამე ადგილზე გასულებისთვის. თსუ-ში ჩასაბარებელი გამოცდების გამო შეკრება გამოტოვა საქართველოს ვიცე-ჩემპიონმა ნინო ხურციძემ. ქუთაისურ შეკრებაზე საქართველოს ჩემპიონები მაია ლომინეიშვილი და თორნიკე სანიკიძე, ვიცე-ჩემპიონი მერაბ გაგუნაშვილი და ბრინჯაოს მედლის მფლობელები სოფო ხუხაშვილი და მიხეილ მჭედლიშვილი იყვნენ. ქალების მთავარი მწვრთნელი იყო ზურაბ სტურუა, ხოლო ვაჟების მომზადებას ხვიჩა სუპატაშვილი ხელმძღვანელობდა.

ამ მოჭადრაკეების გარდა, ვაჟთა ევროპირველობაზე ბაადურ ჯობავა გამოვა, ხოლო ქალებში ნანა ძაგნიძე, სალომე მელია, სოფო გვეტაძე, ქეთი წაწალაშვილი, ნაზი პაიკიძე, მარიამ დანელია, მერი არაბიძე და სოფო გურამიშვილი იასპარეზებენ.

მოჭადრაკე ვაჟთა 2009 წლის ჩემპიონატს, 5-19 მარტს, ჩერნოგორიის ქალაქი ბუდვა უმასპინძლებს, ხოლო ქალთა პირველობა, 7-21 მარტს, სანკტ- პეტერბურგში ჩატარდება.

ქართველი მოჭადრაკე ვაჟები ევროპირველობაზე 5 მარტს, ხოლო ქალები 7-ში, დილით, ავიარეისით გაემგზავრებიან.

### მხოლოდ - "ბარსელონა"

ბოლო დროს კატალონიურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, ბარსელონამ მიუნხენის ბაიერნთან მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ 25 წლის ფრანგ ნახევარმცველ ფრანკ რიბერის შეძენის თაობაზე წინასწარ შეთანხმებას მიაღწია.

ეს ფაქტი ჯერჯერობით არც ერთ მხარეს არ დაუდასტურებია.

სამაგიეროდ, ნავთზე ცეცხლი დაასხა ფეხბურთელის აგენტმა ალენ მილიაჩომ, რომელმაც კატალონიური რადიოს ჟურნალისტთან საუბარში თქვა: თუ რიბერი ბაიერნიდან სადმე წავა, მხოლოდ - ბარსელონაში .

როგორც იტალიური Corriere Dello Sport -ი იუწყება, რიბერი ტურინის იუვენტუსის უმთავრესი სამიზნეა. გაზეთის ცნობით, კლუბი, რომელიც ზაფხულში ფეხბურთიდან მიმავალი ჩეხი ნახევარმცველის შემცვლელს ეძებს, ტრანსფერებზე 30 მილიონი ევროს დახარჯვას აპირებს და ამ თანხის უმეტეს ნაწილს სწორედ ბაიერნის ჯადო ფრანგის შესაძენად მიმართავს.

### ბათი "ლივერპული" დაინტერესდა

ჰოფენჰაიმის 23 წლის სენეგალელ თავდამსხმელ დემბა ბათი ლივერპული და ბლექბერნი ინტერესდებიან. ამის შესახებ ფეხბურთელის აგენტმა ალექსანდრ გონტრანმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა.

გონტრანის თქმით, წლეულს, იანვარში, ბას გადაბირების წინადადებით ბუნდესლიგურმა შტუტგარტმა მიმართა.

ჩემი ინფორმაციით, ისინი მოგვიანებით კლუბსაც დაუკავშირდნენ, - თქვა მან, - მაგრამ მისით სხვა კლუბებიც ინტერესდებიან, მათ შორის - ლივერპული და ბლექბერნი . თუმცა დემბა აქ მშვენივრად გრძნობს თავს და თუ გუნდი კარგად თამაშს გააგრძელებს და ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა, ვერ ვხედავ მიზეზს, რატომ უნდა წავიდეს სხვაგან. თუ მოვლენები სხვაგვარად განვითარდება, მაშინ ჰოფენჰაიმს ძალიან გაუჭირდება მოთამაშეთა შენარჩუნება.

ბა ჰოფენჰაიმში 2007 წლიდან გამოდის. მიმდინარე სეზონში მან გუნდს ბუნდესლიგაში 11 გოლი შეაწია. კონტრაქტის მიხედვით, ის რაინ-ნეკარარენაზე 2012 წლამდე უნდა დარჩეს.

### ორმაგი უარყოფა

მიუნხენის ბაიერნის მწვრთნელი იურგენ კლინსმანი უარყოფს ინგლისურ პრესაში გავრცელებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, თითქოს მანჩესტერ სიტი ახალი სეზონიდან მარკ ჰიუზის ნაცვლად მის გადაბირებას ცდილობს.

საერთოდ, მე ჩემს მოთამაშეებს ყოველთვის ვეუბნები, რომ, თუ ვრცელდება ჭორი რომელიმე კლუბის მიერ თქვენით დაინტერესების შესახებ, ეს თქვენთვისაც და ბაიერნისთვისაც მხოლოდ კომპლიმენტია. იგივე შეიძლება ითქვას მენეჯერებსა თუ მწვრთნელებზეც. მაგრამ ბაიერნთან კონტრაქტი მომავალი სეზონის ბოლომდე მაკავშირებს და ჩემი ერთადერთი საფიქრალი ის არის, ამ ხნის განმავლობაში გუნდთან ერთად, რაც შეიძლება, ბევრი ჯილდო მოვიგო , - თქვა კლინსმანმა.

თავის მხრივ, სიტიმ განაცხადა, რომ ის სულაც არ გეგმავს ჰიუზის გაშვებას და მის ნაცვლად გერმანელი სპეციალისტის გადაბირებას.

### დაბროვსკის კონტრაქტი გაუხანგრძლივეს

ბოხუმმა 30 წლის პოლონური წარმომავლობის გერმანელ ნახევარმცველ კრისტოფ დაბროვსკის კონტრაქტი, რომელსაც მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე უნდა გასვლოდა ვადა, 2012 წლის 30 ივნისამდე გაუხანგრძლივა.

დაბრო და ბოხუმი განუყრელები არიან. ის ყოველთვის სამაგალითოა - როგორც მოედანზე, ისე მის გარეთ , - აღნიშნა კლუბის გამგეობის წევრმა ტომას ერნსტმა.

აქ თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, - დასძინა, თავის მხრივ, დაბროვსკიმ, - არაერთხელ მითქვამს, აქ შეიძლება დიდი ხნით, ან სულაც კარიერის ბოლომდე დავრჩე-მეთქი.

ბოხუმში ის 2006 წლის ზაფხულში გადავიდა და მას შემდეგ მის შემადგენლობაში ჩატარებულ 59 მატჩში 8 გოლი გაიტანა. მიმდინარე სეზონში ის 5 გოლით გუნდის საუკეთესო მეგოლეა.

მანამდე ის 1998-2001 წლებში ბრემენის ვერდერში , 2001-03 წლებში ბილეფელდის არმინიაში , ხოლო 2003-06 წლებში ჰანოვერში თამაშობდა.

# ბოლნისური სიურპრიზი

## დინამო ვიტ ჯორჯიას წამოეწია

მიხეილ აბაიშვილი



დონალდ ჯუისის გადამწყვეტი გოლი "მგლების" კარში.

ყველაფერი თავიდან იწყება: ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის 21-ე ტურმა არაერთი სიურპრიზი და ერთიც სენსაციური შედეგი შემოგვთავაზა, რისი წყალობითაც სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილში ვითარება უკიდურესად დაიძაბა. მთავარი მოულოდნელობა გორში დაფიქსირდა, სადაც ლიდერმა, თბილისის "ვიტ ჯორჯიამ" ბოლნისის "სიონის" წინააღმდეგობა ვერ დაძლია და ფრეს დასჯერდა. შედეგად, მდევარმა, თბილისის "დინამომ", რომელმაც მძიმე ბრძოლაში დაამარცხა ზუგდიდის "მგლები", მორიგი სამი ქულა მიითვალა და ერთ ქულამდე შეამცირა "ვიტ ჯორჯიასთან" ქულათა სხვაობა.

თუ "ვიტ ჯორჯია" ლიდერის პოზიციას ვერ შეინარჩუნებს და ტიტულს "დინამოს" დაუთმობს, იღბალთან და მაღალ კონკურენციასთან ერთად, ინფრასტრუქტურაზეც შეეძლება დაჩივლება. მთელი სეზონია, მცხეთის "არმაზის" სტადიონის ნაცვლად, ვეტერინარები საშინაო თამაშებს გორში ატარებენ, სადაც მოედნის საფარი ექსტრემალურ მოტობურთს უფრო შეეფერება, ვიდრე ფეხბურთს. "არმაზი", სადაც რეკონსტრუქცია იგეგმება, მხოლოდ მომავალი სეზონისთვის ჩადგება მწყობრში. "აპრილში ველოდებით ხელოვნურ საფარს და დავიწყებთ მის დაგებას. პარალელურად განხორციელდება ტრიბუნებისა და გასახდელების განახლება-კეთილმოწყობა. სავარაუდოდ, მომავალ სეზონს მცხეთაში შევხვდებით", - განუცხადა "24 საათს" "ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტმა გურამ რუხაძემ.

ის, რომ "ვიტ ჯორჯიამ" "სიონთან" ორი ქულა დაკარგა, უიღბლობასთან ერთად, მოედნის საფარის დამსახურებაც იყო. მოედნის საშინელი საფარი სწრაფი და კომბინაციური თამაშის საშუალებას არ იძლეოდა, რაც ნესტორ მუმლაძის გუნდის მთავარი კოზირია. ვეტერინარებს დიკსვალიფიკაციის გამო ორი წამყვანი ფეხბურთელიც აკლდათ - "სიონის" წინააღმდეგ ვერ ითამაშეს ლიპარტიამ და ჯაფარიძემ. ამ ფონზეც კი მატჩი მოულოდნელად დაიწყო: ერთ-ერთი კონტრშეტევის დროს მასპინძლების მეკარე ბედიაშვილი შეცდა და მიკუჩაძე წააქცია. პენალტი სანიკიძემ გოლად აქცია. მასპინძლებმა მხოლოდ ტაიმის მიწურულს შეძლეს ანგარიშის გათანაბრება: ლომაიამ ბრწყინვალედ შეასრულა საჯარიმო დარტყმა და გუნდები საყაიმო ანგარიშით გავიდნენ შესვენებაზე.

მეორე ნახევარში "ვიტ ჯორჯიას" უპირატესობა აშკარა იყო. მუმლაძის შეგირდებმა არაერთი საგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ დამაგვირგვინებელმა დარტყმამ მიზანს ვერც ერთხელ ვერ მიაღწია. საკვანძო მომენტი 69-ე წუთზე დადგა: "ვიტ ჯორჯიას" თავდამსხმელის კვარაცხელიას წაქცევისთვის მსაჯმა კიდევ ერთი თერთმეტმეტრიანი დანიშნა. ბურთთან ვეტერინართა კაპიტანი ლუკა რაზმაძე მივიდა, მაგრამ ამჯერად მას მიზანმა უმტყუნა: ბურთი კარის ძელმა აისხლიტა. მატჩი ფრედ - 1:1 დასრულდა.

ამავე დღეს კიდევ ერთი მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა: რუსთავში ადგილობრივმა "ოლიმპმა" ვერ შეძლო დედაქალაქური "ლოკომოტივის" წინააღმდეგობის დაძლევა და მატჩი ფრედ - 0:0 დასრულდა.

ტურის ცენტრალური შეხვედრა თბილისში გაიმართა, სადაც "დინამომ" ზუგდიდის "მგლებს" უმასპინძლა. მართალია, ამ გუნდების ურთიერთშეხვედრათა ისტორია "დინამოს" სასარგებლოდაა, მაგრამ თითოეულ წარმატებას თბილისელები ძალების მაქსიმალური მობილიზაციით ახერხებენ. გუშინდლამდე ეს გუნდები სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და სამჯერვე "დინამომ" გაიმარჯვა, თუმცა, მხოლოდ მინიმალური სხვაობით. გასულ სეზონში ორივე მატჩი ერთნაირი ანგარიშით - 2:1 დასრულდა, წელს კი, პირველი ტურის შეხვედრაში, რომელიც ზუგდიდში გაიმართა, "დინამომ" 1:0 მოიგო. ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა: უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ ანგარიში გახსნა მერებაშვილმა. ზუსტად ერთ წუთში ზუგდიდელებმა თანაფარდობა აღადგინეს: გუჩუას ჩაწოდების შემდეგ როინ ონიანმა თავური დარტყმით საპასუხო გოლი გაიტანა. "დინამო" ქულების დაკარგვისგან იხსნა დონალდ ჯუისმა, რომელმაც გველესიანის ჩაწოდება თავური დარტყმით გოლად აქცია.

**21-Ე ტური**

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია - სიონი | 1:1 |
| ოლიმპი - ლოკომოტივი | 0:0 |
| ზესტაფონი - სპარტაკი | 4:1 |
| დინამო - მგლები | 2:1 |

# კალაძემ სეზონი დაასრულა




საქართველოს ნაკრების კაპიტნის გარეშე დარჩა.

საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტან კახა კალაძისთვის წლევანდელი სეზონი დასრულებულია. მომავალ კვირაში მას მარჯვენა მუხლზე ოპერაციას გაუკეთებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ სეზონის ბოლომდე მინდორზე ველარ გავა. ამის თაობაზე თავად კალაძემ ისაუბრა ერთ-ერთი უკრაინული სპორტული ინტერნეტგამოცემის ჟურნალისტთან.

17 წლის ასაკში მარჯვენა მუხლზე მენისკის ოპერაცია გამიკეთეს. ხრტილი ამომიღეს. დროთა განმავლობაში ძვალი ძვალზე დაჯდა და ბოლო ნახევარი წელიწადია ჯოჯოხეთურ ტკივილს ვგრძნობ. საქმე იქამდე მივიდა, რომ გამაყუჩებლების გარეშე ვერ ვვარჯიშობდი. მოკლედ, მუხლი სერიოზულად მაწუხებს. ოპერაცია ერთი თვის წინ უნდა გამეკეთებინა, მაგრამ ექიმებმა გადადეს, რადგან გუნდში ისედაც ბევრი ტრავმირებული ფეხბურთელი იყო. ჩემი განკურნება სხვადასხვა მეთოდებითა და პრეპარატებით სცადეს, მაგრამ ამან შედეგი არ გამოიღო. მომავალ კვირაში, ოთხშაბათს ან ხუთშაბათს, ბელგიაში ოპერაციას გამიკეთებენ. ზუსტი თარიღი ორშაბათს მეცოდინება. ოთხ-ხუთ თვეს ვერ ვითამაშებ. ასე რომ, ჩემთვის წლევანდელი სეზონი დამთავრებულია , - ამბობს კალაძე.

ამრიგად, 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, 28 მარტს, სტუმრად, კვიპროსთან, ხოლო 1 აპრილს, თბილისში, ჩერნოგორიასთან, კალაძე ეროვნულ ნაკრებს ვერ დაეხმარება, რაც კუპერის გუნდისთვის დიდი დანაკარგია.

ქართველი ფეხბურთელის განცხადებით, უეფას თასის 1\16-ფინალში ვერდერთან სტუმრად 2:2 დასრულებულ მატჩში მილანელთა განაცხადში იმიტომ მოხვდა, რომ გუნდს 16 ფეხბურთელი არ უგროვდებოდა.

განაცხადში პირადად კარლო ანჩელოტის თხოვნით შემიყვანეს, რადგან 16 ფეხბურთელი არ გროვდებოდა. ვერდერთან მატჩში მხოლოდ ექსტრემალურ ვითარებაში თუ გავიდოდი მოედანზე. ჩემი ნება რომ ყოფილიყო, მილანურ დერბიშიც არ ვითამაშებდი, თუმცა, ანჩელოტიმ მითხრა, რომ მოედანზე ვჭირდებოდი და, ბუნებრივია, ჩემი სამუშაო უნდა შემესრულებინა. ინტერთან თამაშამდე სამი დღით ადრე საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ირლანდიის წინააღმდეგ 90 წუთი ვითამაშე და მუხლში ტკივილი ისევ ვიგრძენი. სხვათა შორის, იმ მატჩამდე ვარჯიში რამდენიმე დღის დაწყებული მქონდა , - აღნიშნა კალაძემ.

# ქორებმა პრინციპული მეტოქე დაამარცხეს

წარუმატებელი დასავლური ვოიაჟის შემდეგ ატლანტა ჰოუქსმა პირველი მატჩი გამართა საკუთარ ფილიპს არენაზე და პრინციპული მეტოქე დაამარცხა.

მაიამისთან მატჩი ფაჩულიამ და მისმა თანაგუნდელებმა ანგარიშით 91:83 მოიგეს. ქორები თითქმის მთელი შეხვედრის განმავლობაში წინ იყვნენ, გადამწყვეტი უპირატესობა კი მესამე პერიოდში მოიპოვეს, როცა, ჯო ჯონსონის ზუსტი საჯარიმოების შემდეგ, მეოთხედის დასრულებამდე 2 წუთით ადრე 16 ქულით დაწინაურდნენ.

ფაჩულია თამაშში პირველი მეოთხედის მიწურულს ჩაერთო და მოედანზე გატარებულ 16.33 წუთში 3 ქულა (2-2 ორქულიანიდან და საჯარიმოდან თითო ჩააგდო), 5 მოხსნა და 1 ჩაჭრა დააგროვა. ატლანტელთა გამარჯვებაში უდიდესი წვლილი შეიტანა ფაჩულიას კონკურენტმა ალ ჰორფორდმა, რომელმაც, 21 ქულასთან ერთად, მისთვის სარეკორდო 22 მოხსნა მიითვალა. ყველაზე შედეგიანი კი ჯო ჯონსონი იყო 24 ქულით. სტუმართა შორის 23 ქულით საუკეთესო მექულე გახდა მაიკლ ბისლი, ხოლო ლიგის ვარსკვლავმა დუეინ უეიდმა მატჩი ორმაგი დუბლით დაასრულა - 21 ქულა, 10 შედეგიანი გადაცემა.

"ატლანტას" 33 მოგება და 25 მარცხი აქვს და სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონში მეორე, მთლიანად აღმოსავლეთ კონფერენციაში კი მეოთხე ადგილს ინარჩუნებს.



ფაჩულია ფარქვეშ

საქართველოს ნაკრების კალათბურთელებს არ გაუმართლათ ევროპაში. მანუჩარ მარკოიშვილის ბკ კიევმა უკრაინის ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერის სტატუსი დაკარგა. ეს უკანასკნელ ტურში მას შემდეგ მოხდა, რაც დედაქალაქელებმა საკუთარ მოედანზე მდევარ აზოვმაშთან 57:59 წააგეს. ახლა ბკ კიევსა და აზოვმაშს მოგება-წაგებათა თანაბარი ბალანსი აქვთ - 18 გამარჯვება და 3 მარცხი. დანარჩენი მეტოქეები მათ საგრძნობლად ჩამორჩებიან. შედარებისთვის, მესამე ადგილზე მყოფი დონეცკის აქტივში მხოლოდ 12 მოგებაა.

აზოვმაშთან ბკ კიევის მარცხი მოსალოდნელი იყო, რადგან სულ ცოტა ხნის წინ დედაქალაქელებმა, ფინანსური კრიზისის გამო, ერთბაშად რამდენიმე წამყვანი კალათბურთელი გაუშვეს. ეს მატჩი კიეველებმა 6 მოთამაშით ჩაატარეს, მაშინ როცა მეტოქემ 9 კალათბურთელს მისცა მოედანზე გასვლის საშუალება. ამის მიუხედავად, დედაქალაქელებს ჩემპიონთან თავი არ შეურცხვენიათ და ქულა-ქულაში მიმდინარე მატჩის ბედი უკანასკნელ წამებზე გაირკვა.

კიეველთა მხრიდან ყველაზე შედეგიანი იყო ქართველი კალათბურთელი, რომელიც გუნდს 15 ქულით შეეწია. თუმცა თამაშიდან ტყორცნებში მანუს ცუდი პროცენტული მაჩვენებელი ჰქონდა - 8 ორქულიანიდან 3 გამოუვიდა შედეგიანი, ხოლო ამდენივე სამქულიანი ცდიდან მიზანს ერთხელ უწია. საჯარიმოები კი გაცილებით უკეთ შეასრულა - 7 ტყორცნიდან მხოლოდ ერთი ააცილა მიზანს. ამის გარდა, მარკოიშვილმა, რომელმაც მატჩი თითქმის შეუცვლელად ჩაატარა, პირად აქტივში 3 მოხსნა და 2-2 ჩაჭრა-პასი ჩაიწერა.

გიორგი ცინცაძისა და ვიქტორ სანიკიძის ესტონური როკი , ბალტიის ლიგის გასვლით მატჩში, მრისხანე კაუნასის ჟალგირისთან 64:91 დამარცხდა. ცინცაძემ შეხვედრა სასტარტო ხუთეულში დაიწყო და მოედანზე გატარებულ 34 წუთში 18 ქულით გუნდის ბომბარდირი გახდა. ამის გარდა, მან 3-3 მოხსნა-ჩაჭრა და 2 შედეგიანი გადაცემა მიითვალა. რაც შეეხება სანიკიძეს, ის შეხვედრაში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო. ქართველ ფორვარდს მწვრთნელებმა 24 სათამაშო წუთი აკმარეს. დროის ამ მონაკვეთში მან 11 ქულას, 8 მოხსნასა და თითო ჩაჭრა-დაფარებას მოუყარა თავი.

# სეზონის პირველი სკანდალი სამეფო რბოლებში

ფორმულა 1-ის ახალი სეზონი ჯერ არ დაწყებულა და პირველი სკანდალი უკვე მოხდა. პილოტები უკმაყოფილონი არიან, რომ გაიზარდა სუპერლიცენზიის მისაღებად გადასახდელი თანხის ოდენობა და ფულის გადახდაზე უარს ამბობენ.

სუპერლიცენზია არის დოკუმენტი, რომელიც პილოტს ფორმულა 1-ის რბოლებში მონაწილეობის უფლებას აძლევს. ეს განსაკუთრებული მართვის მოწმობაა, რომელსაც სპეციალური მოთხოვნისა და ეროვნული ავტოსპორტის ფედერაციების რეკომენდაციის შემდეგ აძლევენ პილოტებს. მისი აღება საჭიროა ყოველწლიურად, თან ამ დოკუმენტში ფულიც არის გადასახდელი.



ფორმულა 1-ის პილოტები ფულზე წუწუნებენ

იმისთვის, რომ პილოტს სუპერლიცენზია მიეღო, საჭირო იყო მას გადაეხადა 1690 ევრო. ამას ემატებოდა 447 ევრო წინა სეზონში მოპოვებულ თითოეულ ქულაზე. ავტორბოლის საერთაშორისო ფედერაციას ჯერ კიდევ გასულ სეზონში უნდოდა თანხის გაზრდა, მაგრამ პილოტები გაფიცვით დაიმუქრნენ. მაშინ ეს ვერ მოხერხდა. წლეულს კი ფორმულა 1-ის მამებმა სუპერლიცენზიაში გადასახდელი თანხა საგრძნობლად გაზარდეს. ასე რომ, პილოტს გადასახდელი ექნება: 10400 ევრო, პლუს 2100 ევრო გასულ სეზონში მოპოვებულ ყოველ ქულაზე, პლუს 2727 ევრო - სადაზღვევო გადასახადი. ასეთი ცვლილებების შედეგად მსოფლიო ჩემპიონ ლუის ჰამილტონს სუპერლიცენზიის მისაღებად 216,200 ევროს გადახდა მოუწევს. მართალია, თანხა უფრო ნაკლებია, ვიდრე გასულ წელს იყო, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ 2008 წელს ჰამილტონმა უფრო ნაკლები ქულა დააგროვა, ვიდრე 2007 წელს. შედარებისთვის გეტყვით, რომ ნასკარში პილოტები სუპერლიცენზიაში დაახლოებით 4000 დოლარს იხდიან, ინდიკარში კი ეს ციფრი 1000 დოლარია.

პილოტები უარს ამბობენ გაზრდილი თანხის გადახდაზე. ბრიტანული მედიის ინფორმაციით, მხოლოოდ სამმა პილოტმა შეიტანა საჭირო თანხა. თუ პრობლემა დროზე არ მოგვარდა, შესაძლოა გაფიცვის გამო სეზონის პირველი გრან-პრი ჩაიშალოს კიდეც.

მართალია, სუპერლიცენზიაში გადასახდელი თანხა მართლაც სოლიდურია, მაგრამ, როგორც არ უნდა დასრულდეს ეს ამბავი, პილოტების იმიჯს ნამდვილად მიადგება ჩრდილი. ჩვეულებრივი მოკვდავისთვის ეს თანხა, რა თქმა უნდა, ბევრია. მაგალითად, ფერარის პილოტი კიმი რაიკონენი, რომელიც უარს ამბობს სუპერლიცენზიაში ფულის გადახდაზე, სეზონში, მხოლოდ ხელფასის სახით, 23.5 მილიონ ევროს იღებს, სუპერლიცენზიაში კი 170 ათასი ევროს გადახდა არ სურს. არანაკლები შემოსავლები აქვთ სხვა პილოტებსაც. ამ ვითარებაში ფულის გადახდაზე წუწუნი, მით უმეტეს, როდესაც მსოფლიოში ფინანსური კრიზისია და ფორმულა 1-ის გულშემატკივრების მთელი არმია სამუშაოს დაკარგვის საშიშროების წინაშე გდას, პილოტების ბრძოლა სუპერლიცენზიის მისაღებად საჭირო თანხის შემცირებაზე, ცოტა არ იყოს, სასაცილოა. ქვემოთ გთავაზობთ ცხრილს, რომელშიც თავად შეგიძლიათ ნახოთ, თუ რომელ პილოტს რამდენის გადახდა მოუწევს სუპერლიცენზიაში და რამდენი ჰქონდა მას გადახდილი წინა სეზონში.

| პილოტი | 2009 წ. | 2008 წ. |
|---|---|---|
| ლუის ჰამილტონი | 216,200 | 228,000 |
| ფელიპე მასა | 214,100 | 198,000 |
| კიმი რაიკონენი | 167,900 | 230,000 |
| რობერტ კუბიცა | 167,900 | 88,000 |
| ფერნანდო ალონსო | 138,500 | 228,000 |
| ნიკ ჰაიდფელდი | 136,400 | 132,000 |
| ჰეიკი კოვალაინენი | 121,700 | 70,000 |
| სებასტიან ფეტელი | 83,900 | 22,000 |
| იარნო ტრული | 75,500 | 26,000 |
| ტიმო გლოკი | 62,900 | 10,000 |
| მარკ უებერი | 54,500 | 30,000 |
| ნელსონ პიკე | 50,300 | 10,000 |
| ნიკო როსბერგი | 46,100 | 50,000 |
| რუბენს ბარიკელო | 33,500 | 10,000 |
| კაზუკი ჯაკაჯიმა | 29,300 | 10,000 |
| სებასტიან ბურდე | 18,800 | 10,000 |
| ჯეისონ ბატონი | 16,700 | 22,000 |
| ჯანკარლო ფიზიკელა | 0,400 | 52,000 |
| ადრიან სუტილი | 10,400 | 12,000 |

სადაზღვევო შენატანის გაუთვალისწინებლად.

## ალმუნია: თავდაჯერება გვაკლია!

ლონდონის "არსენალის" ესპანელი მეკარე, 31 წლის მანუელ ალმუნია გუნდის ბოლოდროინდელი წარუმატებლობის მიზეზად თანაგუნდელთა არასათანადო თავდაჯერებულობას ასახელებს. შეგახსენებთ, რომ პრემიერლიგაში ჩატარებული უკანასკნელი ოთხი მატჩიდან "მეთოფეებმა" ერთიც ვერ მოიგეს, თუმცა სამ მათგანში გოლი არ გაუშვიათ.

"ჩვენი გულშემატკივარი ნამდვილად მეტს იმსახურებს. შესაძლოა, ფეხბურთელები ფსიქოლოგიურ წნეხს ვერ უძლებენ და თავდაჯერებულობას კარგავენ. ეს ფაქტორი განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება საშინაო მატჩების დროს, როცა ჩვენგან ყველა გამარჯვებას ელის. ერთადერთი დადებითი ფაქტორი, რაც ბოლო დროს ფრედ დასრულებულ შეხვედრებში დავინახე, ის არის, რომ საკუთარი კარის "მშრალად" შენახვა ვისწავლეთ. ჩვენ თამაშში ბალანსის დაცვა უნდა შევძლოთ - ისევე ხარისხიანად უნდა შევუტიოთ, როგორც თავს ვიცავთ. "მანჩესტერ იუნაიტედი" სწორედ ბალანსის დაცვის ხარჯზე აღწევს წარმატებებს - ფერგიუსონის გუნდს გააქვს ერთი გოლი და შემდეგ უნარიანად იცავს თავს. ჩვენც სწორედ ასე თამაში უნდა ვისწავლოთ, თუმცა მანამდე თავდაჯერებულობა გვაქვს დასაბრუნებელი", - აღნიშნა ალმუნიამ.

## ვან ბომელი პსვ-ში დაასრულებს კარიერას

მიუნხენის ბაიერნის 31 წლის ჰოლანდიელმა კაპიტანმა მარკ ვან ბომელმა გერმანულ პრესასთან საუბარში განაცხადა, რომ კარიერას თავის ყოფილ კლუბ პსვ-ში დაასრულებს.

2005-ში, როცა იქიდან ბარსელონაში გადავდიოდი, ეინდჰოვენის ხელმძღვანელობას სიტყვა მივეცი, რომ, ადრე თუ გვიან, დავბრუნდებოდი და კარიერას იქ დავასრულებდი, - თქვა მან, - ისინი ამ ზაფხულშივე მთავაზობენ დაბრუნებას, მაგრამ ჯერ ვერ გადამიწყვეტია, დავთანხმდე ამ შეთავაზებას თუ კიდევ 2-3 წელიწადი სადმე სხვაგან ვითამაშო.

